

ეროვნული ინსტიტუტი

**პოლიტიკური აზროვნების
ნარკვევები**

II

თბილისი
2004

გიორგი სინარულიძე

ფედერალიზმი

მითი და რეალობა

თბილისი
2004

უაკ (UDC) 32.001
ს561

წიგნში მიმოხილულია საქართველოს ხელისუფლების, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, ფედერალიზმის საკვანძო პრობლემები, წარმოდგენილია „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის“ პროექტი.

© შპს საქართველოს ეროვნული ინსტიტუტის გამომცემლობა, 2004
© გიორგი სიხარულიძე

ISBN 99928-0-925-6

უინაარსი

წინათქმა 9

ფედერალიზმი — მითი და რეალობა
პოლიტიკა და არტისტული ყვაეილები 19
ფედერალიზმი — ისტორია და თანამედროვეობა 22
სხვა საქართველო სად არის 24
საქართველოს ერთიანობის პრობლემა 26
აბსურდი სერიოზული სახით 29
ფედერალიზმი და რუსეთის ფედერაცია 30
სეპარატიზმი და პოლიტიკური პარანოია 33
სეპარატიზმი გლობალურ კონტექსტში 36
ორ ზღვას შუა 39
უნიტარიზმის აღსასრული 43
აწმყოდან მომავლისაკენ... წარსულის გავლით 46
ფედერალიზმი და ბიუროკრატია 48
ავტორიტარიზმი უნიტარიზმის ნიღბით 51
დედაქალაქი და პერიფერია 54

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია
თავი პირველი
კონსტიტუციური წყობის საფუძვლები 61
თავი მეორე
ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი 66
თავი მესამე
პარლამენტი 82
თავი მეოთხე
რესპუბლიკის პრეზიდენტი 96
თავი მეხუთე
მთავრობის კაბინეტი 101

თავი მეექვსე	
სასამართლო ხელისუფლება	105
თავი მეშვიდე	
ფინანსური ურთიერთობანი	109
თავი მერვე	
ფედერაცია და რესპუბლიკები, მხარეები	111
თავი მეცხრე	
კონსტიტუციის გადასინჯვა	118
Конституция Федеративной Республики Грузии	119
Глава восьмая.	
Федерация и Республики, Края.	120
Административно-территориальное устройство	
Федеративной Республики Грузии	126
დანართი	
საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია /1921/	133
თავი 1.	
ზოგადი დებულებანი	134
თავი 2.	
მოქალაქეობა	136
თავი 3.	
მოქალაქის უფლებანი	137
თავი 4.	
პარლამენტი	143
თავი 5.	
აღმასრულებელი ხელისუფლება	147
თავი 6.	
სასამართლო	150

თავი 7.	
სახელმწიფო ფინანსები	152
თავი 8.	
სახელმწიფო კონტროლი	153
თავი 9.	
სახელმწიფო თავდაცვა	154
თავი 10.	
ადგილობრივი თვითმმართველობა	155
თავი 11.	
ავტონომიური მმართველობა	157
თავი 12.	
სწავლა-განათლება და სკოლა	158
თავი 13.	
სოციალ-ეკონომიური უფლებანი	159
თავი 14.	
ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი	162
თავი 15.	
სახელმწიფო მოხელენი	164
თავი 16.	
სახელმწიფო და ეკლესია	165
თავი 17.	
კონსტიტუციის გადასინჯვა	166

წინათქმა

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი ვერსიის შემუშავებიდან ათი წელი გავიდა.

1995 წლის 1 მარტს საქართველოს სახალხო პარტიის მთავარმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დამტკიცების შესახებ.“ იმავე წლის 4 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიამ უნიტარული ხასიათის თერთმეტ ნაშრომთან ერთად ჩვენი ვარიანტიც განიხილა.

ინტერესი ღიღი იყო.

საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზში მეორე ეროვნული პარლამენტის /1992 – 1995/ თითქმის ყველა ლიდერსა და გამოჩენილ სამართალმცოდნეთა უმრავლესობას მოუყარა თავი. კომისიის მუშაობას სახელმწიფოს მეთაური – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა.

ჩვენი გამოხედა ღიღიანს არ გაგრძელებულა. ფედერაციული ქვეყნის კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ: ჯაბა იოსელიანი, ნოდარ ნათაძე, დავით კუპრეიშვილი... წარმოდგენილი ვარიანტის მხარდაჭერა გამოხატეს: ელდარ შენგელაია, ჯონი ხეცურიანი, ლევან ალექსიძემ, აკაკი ასათიანმა... ჩვენ კეთილგანწყობით მოვეკიდეთ ოპონენტთა შეხედულებებს და გავიზიარეთ მომხრეთა შენიშვნები. ავტორის მოსაზრებები ჟ. “საქართველოს პარლამენტის” 1995 წლის ივლის-აგვისტოს ნომრებში /№№ 3, 4, 5, 6/ გამოქვეყნდა სათაურით “ფედერალიზმი – მითი და რეალობა”, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას გამოვიყენეთ საქართველოს რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის, საფრანგეთის რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ძირითადი კანონები.

ახალ, 2004 წლის რედაქციაში გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის ნორმები.

კონსტიტუციის პროექტი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმას. სახელმწიფოს მართვის ძირეული ფუნქცია ქალაქებსა და თემთა ასოციაციებს უნდა დაეკისროს, რაიონები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები /რაიონის გამგეობა, საკრებულო/ გაუქმდეს, ხოლო მათ ნაცვლად შეიქმნას რესპუბლიკური და სამხარეო დაქვემდებარების ოლქები, რომლებიც უნდა შევიდეს ფედერაციის სუბიექტების /რესპუბლიკების, მხარეების/ შემადგენლობაში.

მომავალი აღორძინებულ ქალაქებს ეკუთვნის. ეს სრულიადაც არ მოასწავებს სოფლების დაკნინებას. განახლებული ქალაქის შემოგარენში სოფელი დაწინაურდება, თანამედროვე სახეს შეიძენს. მომცრო ქალაქების აღმავლობა, ხოლო ოდესღაც არსებული ე.წ. “ქალაქის ტიპის დასახლებებისა” თუ დაბის ქალაქად სახეცვლილება დროის მოთხოვნაა. ამ პროცესს ფეხი უნდა ავუწყოთ. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით – უკეთესი.

გთავაზობთ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროექტს.

აფხაზეთის რესპუბლიკა

/დედაქალაქი სოხუმი/.

ქ. გაგრა.

ქ. გალი.

ქ. გუდაუთა.

ქ. გულრიფში.

ქ. ოჩამჩირე.

ქ. სოხუმი.

თემთა ასოციაციები.

აჭარა-ბჟურის ბაჰრთიანებული მხარე

/ადმ. ც. ქ. ბათუმი/

აჭარის რესპუბლიკა

/დედაქალაქი ბათუმი/.

- ქ. ბათუმი.
- ქ. ქედა.
- ქ. ქობულეთი.
- ქ. შუახევი.
- ქ. ხელვაჩაური.
- ქ. ხულო.

ოზურგეთის ოლქი

- /ადმ. ც. ქ. ოზურგეთი/.
- ქ. ლანჩხუთი.
- ქ. ოზურგეთი.
- ქ. ჩოხატაური.

თბილისის ფედერალური მხარე

/ადმ. ც. ქ. თბილისი/.

დიდუბის ოლქი

- /ადმ. ც. დიდუბე/.
- გლდანის მუნიციპალიტეტი.
- დიდუბის მუნიციპალიტეტი.
- ისნის მუნიციპალიტეტი.
- ნაძალადევის მუნიციპალიტეტი.
- სამგორის მუნიციპალიტეტი.
- ჩუღურეთის მუნიციპალიტეტი.

მთაწმინდის ოლქი

- /ადმ. ც. მთაწმინდა/.
- ვაკის მუნიციპალიტეტი
- კრწანისის მუნიციპალიტეტი.
- მთაწმინდის მუნიციპალიტეტი.
- საბურთალოს მუნიციპალიტეტი.

**იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის
გაერთიანებული მხარე**

/ადმ. ც. ქ. ქუთაისი/.

ონის ოლქი

/ადმ. ც. ქ. ონი/.

ქ. ამბროლაური.

ქ. ონი.

ქ. ცაგერი.

სამტრედიის ოლქი

/ადმ. ც. ქ. სამტრედია/.

ქ. ბაღდათი.

ქ. ვანი.

ქ. სამტრედია.

ქ. ხარაგაული.

ქ. ზონი.

ქუთაისის ოლქი

/ადმ. ც. ქ. ქუთაისი/.

ქ. თერჯოლა.

ქ. ქუთაისი.

ქ. წყალტუბო.

ზესტაფონის ოლქი

/ადმ. ც. ქ. ზესტაფონი/.

ქ. ზესტაფონი.

ქ. საჩხერე.

ქ. ტყიბული.

ქ. ჭიათურა.

კახეთის მხარე

/ადმ. ც. ქ. თელავი/:

თელავის ოლქი

/ადმ. ც. ქ. თელავი/.

ქ. ახმეტა.

ქ. გურჯაანი.

ქ. თელავი.

ქ. საგარეჯო..

ქ. ყვარელი.

სიღნაღის ოლქი

/აღმ. ც. ქ. სიღნაღი/.

ქ. დედოფლისწყარო.

ქ. ლაგოდეხი.

ქ. სიღნაღი.

სამეგრელო-სვანეთის ბაერთიანეზული მხარე

/აღმ. ც. ქ. ზუგდიდი/.

ზუგდიდის ოლქი

/აღმ. ც. ქ. ზუგდიდი/.

ქ. ზუგდიდი.

ქ. მარტვილი.

ქ. წალენჯიხა.

ქ. ჩხოროწყუ.

მესტიის ოლქი

/აღმ. ც. ქ. მესტია/.

ქ. ლენტეხი.

ქ. მესტია.

ფოთის ოლქი

/აღმ. ც. ქ. ფოთი/.

ქ. აბაშა.

ქ. სენაკი.

ქ. ფოთი.

ქ. ხობი.

სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკა

/დედაქალაქი ცხინვალი/.

ქ. ახალგორი.

ქ. ზნაური.

ქ. ცხინვალი.

ქ. ჯავა.

ქართლის მხარე

/აღმ. ც. ქ. რუსთავი/.

ახალციხის ოლქი
/ადმ. ც. ქ. ახალციხე/.
ქ. ადიგენი.
ქ. ასპინძა.
ქ. ახალციხე.
ქ. ახალქალაქი.
ქ. წალკა.

გორის ოლქი
/ადმ. ც. ქ. გორი/.
ქ. გორი.
ქ. კასპი.
ქ. ქარელი.
ქ. ხაშური.

მცხეთის ოლქი
/ადმ. ც. ქ. მცხეთა/.
ქ. დუშეთი.
ქ. თიანეთი.
ქ. მცხეთა.
ქ. ყაზბეგი.

რუსთავის ოლქი
/ადმ. ც. ქ. რუსთავი/.
ქ. ბოლნისი.
ქ. გარდაბანი.
ქ. ღმანისი.
ქ. თუთრიწყარო.
ქ. მარნეული.
ქ. ნინოწმინდა.
ქ. რუსთავი.

წარმოდგენილი პროექტი უნაკლო, რაღა თქმა უნდა. ვერ აქნება. მეტიც, სწავლულმა სამართალმცოდნეებმა და პოლიტიკოსებმა იგი შესაძლოა მიუღებლადც მიიჩნიონ.

მთავარია საქმე გაკეთდეს.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის, ისევე როგორც, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, ბოლოს და ბოლოს, ადგილიდან უნდა დაიძრას.

პოლიტიკური ცენტრი რეგიონების შვილობილია. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხი სწორედ რესპუბლიკების, მხარეების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული და არა – პირიქით. სუბსიდარობის პრინციპის საფუძველზე რეგიონების უფლებების სამართლებრივი აღიარება სახელმწიფოს განვითარების საწინდარია. თავისუფლებას არავინ გაურბის.

სეპარატიზმი უნიათო რეგიონული პოლიტიკისა და უცხო სახელმწიფოების აგრესიულ მცდელობათა შედეგია. ქმედითი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება საუკეთესო არგუმენტებია ცენტრიდანული მოძრაობის წინააღმდეგ.

უმთავრესი ყოვლისმომცველი მდინარეა გახლავთ, რასაც პიროვნული და ეროვნული, მით უფრო, სეპარატისტული ძალისხმევა წინ ვერ აღუდგება. გლობალური პროცესი შესაბამის პასუხსა და ქმედებას მოითხოვს.

საქართველოს მიწა-წყალზე ხელისუფლების იურისდიქციის აღსადგენად მათთან ბრძოლა დაუშვებელია, ვისაც თანამემამულეებად მივიჩნევთ. ნდობის აღსადგენად არ არის საკმარისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას მოვეუწოდოთ დაყაბულდნენ ფართო ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში, თუ იმავდროულად გავახშირებთ საუბარს აჭარის ავტონომიის გაუქმებაზე, ვოლუნტარისტულად შევკვეცავეთ რესპუბლიკის უფლებამოსილებას, ხოლო დანარჩენი საქართველოს ძირძველ მხარეებს – კახეთს, ქართლს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, გურიას, სამეგრელოს, სვანეთს, – იმგვარად მოვეპყრობით, ვითომც ისინი არც არსებობენ, ვინაიდან სუნთქვაშეკრულნი

და გაფაციცებულნი შეკყურებენ ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურ გარდაქმნებს.

სამშობლოსაკენ მილიონობით ქართველი იმზირება. ამ ფონზე აჭარელთა გაქრისტიანების პოპულისტური კადრები, რასაც არაფერი აქვს საერთო ღვთისმიერ სარწმუნოებრივ პროცესთან, დისკრედიტაციას უწევს ქართული სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისა და სახელმწიფოს კეთილშობილ მიზნებს, აფერხებს საშუალებო ამოცანების გადაწყვეტას.

ვისაც თვალი გადაუვლია კავკასიის ათასწლოვანი ისტორიისათვის, განმსაზღვრელი მნიშვნელობის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ პროცესებთან ერთად ყურადღებას მიაქცევდა რეგიონის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების ურთიერთთანამშრომლობისაკენ, დაახლოებისაკენ მისწრაფებას.

ჟამთა სიავის ზამთარი მიიწურებოდა თუ არა, კავკასიაში პოლიტიკური გაზაფხული დგებოდა: აღმოსავლისა თუ დასავლის თარგამოსიანები ქედის ჩრდილო კალთაზე შეფენილ ტომებთან ერთად კონსოლიდაციაზე იწყებდნენ ფიქრს, რასაც ღრთა ვითარებაში სანუკვარი გაერთიანება მოჰყვებოდა. ამ უძველეს ტენდენციაზე ქართული ბიბლიონის დამფუძნებელი ლეონტი მროველი მიუთითებს.

საქართველოს, ისევე როგორც, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის განმტკიცება მნიშვნელოვანი, თუმცა მხოლოდ პირველი ნაბიჯია მშვიდობიანი კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების გზაზე, რაც უახლოესი მომავლის ამოცანას წარმოადგენს.

ქართული სახელმწიფო დემოკრატიულობის – სიმართლისა და სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის ნიმუში უნდა იყოს კავკასიაში, რათა ხელი შეუწყოს რეგიონში მიმდინარე პროცესებს.

ერთიანი კავკასია უახლოესი მერმისის გამოწვევაა. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოსურნეებმა, ხოლო მათთან ერთად ქართლოსის უფროსი ძმის ჰაოსის შთამომავლებმა, ისევე როგორც სრულიად კავკასიის ყველა

ხალხმა – აფხაზებმა, ოსებმა, ჩეჩნებმა, ლეკებმა, ყაბარდოელებმა, ადიღეელებმა, ბალყარელებმა, აბაზგებმა, ყარაჩაელებმა, ინგუშებმა, ჩერქეზებმა, აგრეთვე კავკასიის მიწა-წყალზე მცხოვრებმა უკრაინელებმა, ბერძნებმა, რუსებმა, ქურთებმა, ებრაელებმა თუ სხვა ერთადიასპორებმა – ყველა ჩვენგანმა ერთმანეთისაკენ უნდა მოვიხედოთ, თავი ვანებოთ ურთიერთკინკლაობას და მზერა მივაპყროთ ჩვენს მრავალჭირნახულ სამშობლოს – ზოგად-კავკასიურ ხომალდ-კიდობანს, რომელიც, უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მსოფლიო ოკეანის ზედაპირზე ტორტმანებს.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძალმოსილი ერთიანი კავკასიის ფედერაცია, კონფედერაცია თუ ასამბლეა გაერთიანებული ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის, მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო-რეგიონად ჩამოყალიბდება და კიდევ უფრო კმედით პარტნიორობას გაუწევს ჩვენს უახლოეს მეზობლებსა და მეგობრებს – შუა აზიის ქვეყნებს, სპარსეთს, თურქეთს, რუსეთს, უკრაინას.

იმპერიულად მომართულ გონებას კავკასიის გაერთიანებული სახელმწიფოს კაცთმოყვარე იდეა აფრთხობს.

საკაცობრიო მნიშვნელობის მოღვაწეობას ალტერნატივა არ გააჩნია.

დროთა ვითარებაში მღვრიე სტიქიონი თანდათან დამშვიდდება. კავკასია მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად იქცევა. ამას გვაავალდებულებს ჩვენი პასუხისმგებლობა კავკასიის, მისი თითოეული მოქალაქის, კაცობრიობის წინაშე.

ყოველი საქმის წარმატება კონცეფციის გამართულობაზეა დამოკიდებული. ჩვენ პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ვუთხრათ ჩვენს მოქალაქეებს, იმის მიუხედავად, სად ცხოვრობენ ისინი – თბილისში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, აზიაში, ევროპასა თუ ამერიკაში, – როგორ მომავალს ვთავაზობთ მათ, ჩვენს შთამომავლობას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გულისხმიერად მოვეკიდოთ ოპონენტთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომლებიც მხოლოდ სათანადო დოკუმენტის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი ამ მიზანს ემსახურება.

ავტორი მადლობას მოახსენებს გიორგი გიორგაძეს გაწეული დახმარებისათვის.

2004 წლის 4 ივნისი.
თბილისი.

შედარაღიზიმი - მიტი და რეალობა

გაუგებრობა ყოველთვის დამწერის ბრალი არ არის, ხშირად - წამკითხველისაც.
მიხაკო წერეთელი

პოლიტიკა და არტისტული ყვავილები

გაუგებრობა თუ გაუგებლობა, ხშირად - ზღვარდაუღები უეცობა ჩვენი დროის მთავარი სენია.

ამირან გულში მღეროდა. ხეირიანად არც კი გვიფიქრია და გეწამს - აღსრულდა!

საქმეს, რეალურ შედეგს არავენ დაგიღვეს.

დამოუკიდებელი სახელმწიფო და დემოკრატიული საზოგადოება ბევრს უკვე მომხდარ ფაქტად მიაჩნია, დასაუღეთიდან შემოჰყურებს საქართველოს, სადაც ახლავა იწერება კონსტიტუცია და პირველი ორგანული კანონები.

მავანს კანონი ჯადოსნური კვერთხი ჰგონია: შეთხზავ, გამოსცემ და მორჩა. არავენ კითხულობს: რამდენად მიესადაგება იგი დემოკრატიულ ყოფას - ქვეყნის ამჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს.

ოღონდ თავად გადაწყვიტე, აირჩიე - უნიტარიზმი გნებავს თუ ფედერალიზმი, ან კიღე: "უნიტარული ფედერალიზმი" (!), დიქტატურა თუ დემოკრატია, კონსერვატიზმი თუ სოციალიზმი, საბაზრო მეურნეობა თუ საბჭოური ეკონომიკა და მორჩა, თავი ქუღში გაქვს.

მთავარია, როგორ მიგვაჩნია პირადად ჩვენ. კიღე უფრო მნიშვნელოვანია: ვინ უკეთ შეიძლებს საკუთარი თვალსაზრისის გატანასა თუ გათრევას, ვინ მოერევა ვის, თორემ ამის შემდგომ ყოველივე ისე იქნება, როგორც "გამარჯვებულს" მოეპრიანება: სურს საბჭოურ "კოლექტივს" ააღორძინებს, უნდა ფერმერულ მეურნეობას აყვავებს.

მართლაც ჩვენს ურთიერთჭიდიღზე რომ იყოს საქმე! სამწუხაროდ, ასე არ არის.

ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები გვაქვს, ვინემ ერთმანეთის მორევა და ერთმანეთზე ძალადობაა. გლობალური პროცესის სტიქიონი, რომლის ერთი ზვირთი საქართველოს ნაპირებთანაც სცემს, წალეკვას გვიქადის.

უკუქცევა კარგა ხანია დასრულდა და მოქცევა დაიწყო, ჩვენ კი გულარსხინად ვდგავართ იმპერიის დამსხვრეული ზომალდის ნაშთთან და თავს ვირთობთ: იმაზე ვდავობთ, ვინ რა ადგილი უნდა დაიკავოს კოლობანში, როდესაც წარღვნა ჩვენს ველობზეც ატორტმანდება, კოლობანში – პოლიტიკურ ზომალდში – სახელმწიფოში, რომლის ესკიზიც არ გაგვანჩნია, მაგრამ თავს მაინც არხეინად ვგრძნობთ.

რა არის ეს – თავისუფლებისა თუ მონობის სინდრომი?

ვეონებ, მონის მენტალობა, რომელიც უსაგნოდ ყბელობს ბატონის, უფროსის – “ავთანდილოვიჩის მოსვლამდე”. რა ბედენაა მებატონე “ავთანდილოვიჩია” თუ “პეტროვიჩი”, მაგრამ ასე ჰგავს – ერთიც მოსანატრებელი დაგვრჩება და მეორეც.

ქვეყნის თვალსაჩინო მოღვაწეები – მეცნიერები, მწერლები, პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ რაკილა აზროვნებენ, მამასადამე, არსებობენ და ეს საკმარისია დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინებისათვის.

ოღონდაც, პოეტების სამეფოა საქართველო!

მაგრამ პოლიტიკა რომ ვერ არის მთლად პოეტური სარბიელი?

პოლიტიკა საქართველოში გულისგამაწვრილებლად უმადური საქმიანობაა – მეცნიერებაც, იდეოლოგიაცა და განიადაგებული შრომა, სადაც ბოქემისა და არტისტული ყვავილებისათვის ადგილი არ რჩება.

რამდენიმე კაცი მეგულება ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებიც სხვებზე უკეთ ერკვევიან პოლიტიკის ნიუანსებში, თუმცა ბოლო წლების ზოგიერთი მოვლენა და ქართული პოლიტიკური აზროვნების საბედისწერო შეცდომები მაფიქრებინებს, რომ ეს მოღვაწენიც არ უნდა იყვნენ მწყრალად პოეზიასთან.

– ყოველი ქართველი პოეტია, ზოლო ყოველი ქართველი პოეტი ორგზის პოეტიაო. – უთქვამს დაკვირვებულ ჩვენებურს.

რა ვუყოთ, რომ დღესდღეობით ყოველი ქართველი პოლიტიკოსი უნდა იყოს, ზოლო ყოველი ქართველი პოლიტიკოსი – სულ

მცირე, ორგზის პოლიტიკოსი?

რა ვიღონოთ, თუ ესეც არ კმარა და ქართველი პოლიტიკოსი იმავდროულად იდეოლოგიც უნდა გახდეს, რათა ქვეყანას დაანახოს სამერმისო გზასავალი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ტრადიციული მიზნები.

მაგრამ რა არის იდეოლოგია ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაციის – მეცნიერული ცოდნის გარეშე, რომლის წინაშეც ახალ ეპოქაში სრულიად განსხვავებული მოთხოვნებია წამოყენებული?

ქართული მეცნიერება, აზროვნებას მოწყურებული ინტელიგენცია მგლის მადით ეწაფება დასავლურ ინფორმაციას, რათა შემდგომად დროისა მოუბრუნდეს საკუთარ ქვეყანას, ისტორიას, ტრადიციებს, დღევანდელობას. მაგრამ დროის სასტიკი დეფიციტი არც ამის საშუალებას აძლევს. ან კი ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, როცა სამშობლოში დაებრუნდებით, უსათუოდ მოვიძიებთ “ნაცნობ ადგილს”, რომელსაც მანამ შესაძლოა ჩვენზე უფრო გერგილიანი გადაძთიელი დაეპატრონოს?

არა, მთლად უიმედოდ როდია საქმე, მეტიც, სულაც არ არის უიმედოდ, თუ, რა თქმა უნდა, მოვახერხებთ ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის მობილიზაციას, მის სათანადო ორგანიზებას.

ეროვნული პოტენციალის მობილიზებისა და ორგანიზების ამოცანები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის პრობლემის გადაწყვეტასთან, ისეთი რეჟიმის დამკვიდრებასთან, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის, პიროვნების, საზოგადოების შესაძლებლობათა გამოვლენასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციას.

ფედერალიზმი - ისტორია და თანამედროვეობა

პიროვნების განთავისუფლების საუკეთესო შესაძლებლობას სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა ქმნის.

როგორც მიხაკო წერეთელს მიაჩნდა, მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი “საქართველოს ყოველი კუთხე აშენდეს და ყოველი მოქალაქის ენერგია ამ აღმშენებლობაზე დაიხარჯოს”.

მ. წერეთლის შემდგომ საზოგადოებრიობას აღარ უნდა ესაჭიროებოდა ფედერალიზმის ღირსებებზე დაუსრულებელი დავა-კამათი, რომელიც ერთთავად რაციონალიზმის, მიზანშეწონილებისა და რაღა თქმა უნდა, პატრიოტიზმის დროით მიმდინარეობს.

პირველი “არგუმენტი”, რომელსაც უნიტარისტები მოუხმობენ, არის საქართველოს ფეოდალურ ყაიდაზე დაქუცმაცების საშიშროება. ეს პრობლემა არახალია, ძველია.

სოციალ-დემოკრატების მიერ ამ ყურით მოთრეული დილემის გამო, მ. წერეთელი ჯერ კიდევ 1913 წელს შენიშნავდა: მათთვის “ფედერაცია კუთხეთა – საქართველოს დაყოფა, დანაწილება, სეპარატიზმი, დეცენტრალიზაცია – წარსულის აღდგენა, ფეოდალიზმი, დაქსაქსვა ერისა და კიდევ ვინ იცის, რა ბოროტება და ამასთანავე საწინააღმდეგო დემოკრატიზმისა, დემოკრატიის მკვლელი, უდიდესი ცოდვა, რომელიც კი ქართველი ერის წინაშე იქნება ჩადენილი. თუ ვინმემ გაბედა და საქართველოს ფედერაციაზედ ხმა ამოიღო, მოლაღატყა იგი, მაშასადამე, ჰკა მაგას! – იგივე დემაგოგიაა, რაც წინად იყო”

ნაცნობი სურათია. მართლაც “იგივე დემაგოგიაა, რაც წინად იყო”. ეგ არის: უწინდელი მემარცხენეების ნაცვლად, ფედერალიზმის წინააღმდეგ დღეს ძირითადად მემარჯვენე პარტიები ილაშქრებენ, რომლებიც იმპედროულად ევროამერიკანიზმის თავგამოდებულ ქომაგებად გვევლინებიან.

მ. წერეთელი ამაოდ ცდილობდა განემარტა თანამედროვეთათვის, რომ “ფედერაცია საქართველოს კუთხეთა არ არის დაშლა საქართველოსი, არამედ მტკიცე კავშირი – მის ნაწილთა, საუკეთესო წესი მისი ერთობისა... ერთადერთი საშუალება ჩვენში არსებული, ძველი დროიდან გარდმოცემული, ერისთვის ფრიად მანებელი პროვინციალიზმის, საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა შორის არსებულ

წინააღმდეგობათა მოსპობისა. იგი არის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა აფხაზეთის საკითხისა და დაკმაყოფილება ყველა იმ პროვინციათა, სადაც კი დაიბადება აფხაზეთის მსგავსი მოძრაობა, რადგანაც ხელკეტითა და ტყვიით, ცენტრითგან გზირების გაგზავნითა და თითის ქნევით ასეთი პრობლემები არ გადაწყვეტილა არსად და ვერც ჩვენ გადავწყვეტთ. იგი არის ერთადერთი საშუალება ადგილობრივი ეკონომიკური და ერთობ კულტურული შემოქმედების აღორძინებისა, მაშასადამე, საფუძველი მთელი საქართველოს მომავალი კულტურული სწრაფი განვითარებისა. იგი არის ერთადერთი წამალი წინააღმდეგ ცენტრის მიერ ქვეყნის გამოხვრისა...”

მ. წერეთლის შეხედულებით, სწორედ ცენტრალიზმი და უნიტარიზმი არის ქვეყნის დაშლისა და დაღუპვის მომასწავებელი და არა — ფედერალიზმი და დეცენტრალიზაცია. შეუძლებელია არ დაეთანხმო გამოჩენილი პოლიტიკოსისა და პოლიტიკის თეორეტიკოსის განცხადებას იმის თაობაზე, რომ “ეროვნული ერთობა ფედერაციას არსად დაურღვევია”.

სსსპ საქართველო სად არის

1995 წლის 4 ივლისს საკონსტიტუციო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც “საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის” პროექტი წარუდგინეთ, ოპონენტებს შეეთავაზეთ დაესახელებინათ თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ ფედერალურ მოწყობას გამოეწვიოს სახელმწიფოს დაშლა ან მაგალითი იმისა, რომ ფედერალიზმი არ ქცეულიყო ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდრად. ასეთი ნიმუშების მოხმობა ოპონენტებმა, ცხადია, ვერ შეიძლეს, სამაგიეროდ, კითხვას კითხვა შემოაგებეს:

– თავად დაგვისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყანა, რომელიც ორასი წელი ყოფილიყო უცხო სახელმწიფოს მფლობელობაში და ფედერალიზმს აეშენებინოს?

მოკლედ, როგორც ბრძანებს პოეტი: “სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?! “

იმ სახელმწიფოების ჩამოთვლა, რომელთაც სწორედ ფედერალიზმის მეშვეობით უზრუნველყვეს თავიანთი დამოუკიდებლობის არათუ აღდგენა, არამედ – მოპოვებაც, ძნელი საქმე სულაც არ არის. მათი დიდი უმრავლესობა ყოფილი კოლონია ან გამაჩანაგებელი ომიდან ახლახანს თავდაღწეული ქვეყანა, ისევე როგორც – თანამედროვე საქართველო.

ფედერალიზმის საფუძველზე აღიდგინეს სახელმწიფოებრიობა გერმანიამ, ავსტრიამ, ბირმამ, ინდოეთმა, პაკისტანმა, მალაიზიამ...

ამ ღონისძიებას გერმანიამ სამჯერ მიმართა: პირველად – 1814 – 1815 წლებში /გერმანული კავშირი ავსტრიის ჰეგემონობით/, მეორედ – 1867 წელს /ჩრდილო-გერმანული კავშირი/, ხოლო მესამედ – 1949 წელს, როდესაც შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

1814 – 1815 წლების შემდეგ ავსტრია მეორე ცდით – 1955 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფედერაციულ სახელმწიფოდ.

დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ ხანგრძლივი გზა განვლო ბირმამ, ინდოეთმა, პაკისტანმა, მალაიზიამ.

ბირმა 1886 – 1948 წლებში ბრიტანეთის სამფლობელო იყო.

ინდოეთს XVI საუკუნიდან მოყოლებული ხან პორტუგალიელები ეპატრონებოდნენ, ხან – პოლანდიელები, ხანაც – ფრანგები. იგი, ბოლოს და ბოლოს, ინგლისელთა ხელში აღმოჩნდა და სანუკუარი დამოუკიდებლობა მხოლოდ 1947 წელს – სამასზე მეტი წლის შემდეგ ეწია. მძლავრი სეპარატისტული ტენდენციების მიუხედავად, ინდოეთი სწორედ ფედერალურ ურთიერთობათა მეშვეობით ინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას. სხვათა შორის, ინდოეთი XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სახელმწიფოდ არის მიჩნეული ინდონეზიასა და ჩინეთთან ერთად.

ასევე ბრიტანეთის მფლობელობაში იმყოფებოდა პაკისტანი XIX საუკუნის დამლევებიდან 1947 წლამდე.

ასი წლის მანძილზე იყო ბრიტანეთის კოლონია მალაიზია, რომელიც 1946 წელს გაფორმდა მალას კავშირად, ხოლო 1957 წელს ფედერაციად ჩამოყალიბდა.

სწორედ ფედერაციული მოწყობის საფუძველზე შეიქმნა ამერიკის კონტინენტის უდიდესი სახელმწიფოები – ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, კანადა, მექსიკა, არგენტინა, ვენესუელა...

ასე რომ, მაინცდამაინც ყბადალებული “ორასი წლისა” რა მოგახსენოთ, მაგრამ ყოფილ კოლონიათა სახელმწიფოებრიობის ფედერალურ საწყისებზე აღორძინება ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიასა და პრაქტიკაში.

ფედერალიზმი და საქართველოს ერთიანობის პრობლემა

საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე გამოითქვა ავტორიტეტული აზრი, რომ ფედერაციული მოწყობა საქართველოს დაქუცმაცებას გამოიწვევს. ამ შეხედულების ავტორებს დაუშვებლად მიაჩნიათ ქვეყნის მსხვილი ისტორიულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისათვის /რესპუბლიკები, მხარეები.. / მაქსიმალური თავისუფლების მინიჭება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. არადა, ქართული უნიტარიზმის მამებს რომ ჰკითხოთ: რა საშუალებებით აპირებენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას, თუ ვთქვით, რომელიმე მხარე /მაგალითად, ავტონომიური რესპუბლიკა/ არ მიიღებს მათ პირობებს, — მოსმენა თუ არა, გაგება ნამდვილად გაგიძნელებათ.

ერთიანი ქართული სახელმწიფო XV საუკუნის მეორე ნახევარში — ხუთასზე მეტი წლის წინათ დაიშალა. საქართველოს პოლიტიკური განვითარებისათვის აუცილებელი სივრცე არ აღმოჩნდა. შუა საუკუნეების მეურნეობრიობის ექსტენსიური ხასიათი აგრესორთა დაუცხრომელ ექსპანსიას განაპირობებდა. თუ საკითხს ეკონომიკურთან ერთად გეოგრაფიული თვალსაზრისითაც განვიხილავთ, საქართველო იმთავითვე განწირული იყო, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ჩაკეტილი აღმოჩნდა ორ ბუნებრივ ზღუდეს — შავ ზღვასა და კავკასიონის ქედს შორის.

წინ — წყალი და უკან — მეწყერი.

განვითარების ექსტენსიური გზა დახშული გახლდათ. ინტენსიფიკაციის უსასო იმედები ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში — ყუთლუ-არსლანის კარავთან ერთად დაიფერვლა.

და მაინც, ზოგი ჭირი მარგებელია: მნიშვნელოვანწილად ამავე ზღუდეთა წყალობით გადაურჩა ქართველობა ათასი ჯურის მომხდურთ. ჩანს, აღნიშნულ მიზეზთა ძალით ვერც “ერთმორწმუნე” რუსეთმა შეიძლო ყველა ქართული ტერიტორიის დაპყრობა, რასაც შეჭირვებული ქართველი ისტორიულ დამსახურებად უთვლის აგრესორს.

თუმცა გეოგრაფიულ დაბრკოლებათა არარსებობის შემთხვევაშიც ფრიად საეჭვო იქნებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ხანგრძლივი ზეობა გიგანტი მეზობლების — საბერძნეთის,

რომის, სპარსეთის, ბიზანტიის, ოსმანთა და რუსეთის იმპერიების უშუალო გარემოცვაში.

ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორებით ყველაფერი, რა თქმა უნდა, ვერ აიხსნება. გადამწყვეტი, ცხადია, ქართველური ეთნოსის – ქართველი ერის გონებისა და სულის მოძრაობაა. ამ თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფო /საქართველოს პოლიტიკური ისტორია/ ჯერ ისევ “ტერრა ინცოგნიტა”-ს წარმოადგენს.

ასე იყო თუ ისე, ქართული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი რუსეთის მფლობელობაში აღმოჩნდა. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური საზღვრები არავის აღუდგენია. ქვეყანა გუბერნიებად დაჰყვეს. დაიწყო ქართული მიწა-წყლის ინტენსიური კოლონიზაცია.

XIX საუკუნის შუახანებიდან თანდათან გაღვივდა მინაეულული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისისათვის კონფორმისტული ავტონომიზმისა და ფედერალიზმის /ცხადია, რუსეთის იმპერიის საზღვრებში/ ფარგლებს ვერ გასცდა. საქართველო ჯერ ისევ რჩებოდა იმპერიის ორგანულ ნაწილად, რომელიც დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესაძლებლობას კარგა ხანს მოკლებული იქნებოდა, რომ არა 1917 წლის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ეს ოციანი წლების ტრაგიკულმა მოვლენებმაც დაადასტურა.

პირველად სწორედ დემოკრატიულ საქართველოში მოისახა და 1920 წლის 7 მაისს საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებაში გაფორმდა ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები, რომელმაც ანექსიის შემდეგ ფორმალური /ადმინისტრაციული/ მნიშვნელობა შეიძინა, დაკნინდა და შეიკვეცა /ყარსის ხელშეკრულება.../. ასევე პირველად დემოკრატიულ საქართველოში ჩაიყარა ე.წ. სამხარეო ფედერალიზმის სამართლებრივი საფუძვლებიც. 1921 წლის კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლის ძალით, “საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს /სოხუმის ოლქი/, სამუსლიმანო საქართველოს /ბათუმის მხარე/ და ზაქათალას /ზაქათალას ოლქი/” მიენიჭა “ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა” მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა ეს მცდელობა განწირული აღმოჩნდა.

მართალია ე. წ. “საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების” კონსტიტუციებში ქვეყნის ფედერალიზაციის ტენდენ-

ციები შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ საქართველოს იურუსდიქცია რეალურად მხოლოდ აჭარაზე თუ ვრცელდებოდა, ისიც, უმთავრესად, ადგილობრივ ხელისუფალთა ტრადიციული კეთილგანწყობის მეოხებით. ფედერაციის მეორე სუბიექტს – აფხაზეთს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რომელიც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად არ ითვლებოდა და ამდენად, არც ამ საბჭოური ფედერაციის სუბიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო, – ფაქტობრივად კრემლი მართავდა. ამრიგად, თბილისი, ისიც მოსკოვის ნებართვით, საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის 80 – 85 პროცენტს თუ აკონტროლებდა. ამ თვალსაზრისით მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომაც. ამჟამად ცენტრალური ხელისუფლება თავის იურისდიქციას ქვეყნის ტერიტორიის 82 პროცენტზე ახორციელებს, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 95 პროცენტი მკვიდრობს. აფხაზეთისა და ცხინვალის ზონის გაკონტროლება დღესდღეობით მხოლოდ ურთიერთხელსაყრელი გარიგების საგუძველზე თუ შეიძლება, ან არადა, სამხედრო აქციებს უნდა მივმართოთ, რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსეთის ფედერაციაზე საქართველოს დამოკიდებლობის ხარისხს, შელახავს ქვეყნის სუვერენიტეტს, გაამწვავებს საშინაო-პოლიტიკურ ვითარებას, წარმოქმნის მრავალ სხვა პრობლემას.

საქართველოს ფედერაციული მოწყობა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საუკეთესო შესაძლებლობებს ქმნის, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია.

აბსურდი - სერიოზული სახეი

ჩვენი პატრიოტები ფედერალიზმს ათასგვარ ბოროტებაში სდებენ ბრალს, ფედერალიზმს - როგორც კონცეფციას, ფედერალიზმს - როგორც სამართალზედვის რაკურსს, ფედერალიზმს - როგორც პოლიტიკური მოწყობის ფორმას.

ოპონენტთა უმრავლესობა სერიოზული გამომეტყველებით ამტკიცებს, რომ ფედერალიზმისაკენ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი, მეტიც - საბედისწერო შედეგები მოჰყვება. მათი რწმენით, საკმარისია, ვთქვათ, სახელმწიფო ფედერალურ ყაიდაზე მოეწყოს, რომ უმაღლ აღორძინდება სეპარატიზმი, პარტიკულარიზმი, მით უფრო, თუ ამას დააფიქსირებს ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია.

ასე გამოდის: კანონი, ნორმატიული აქტი ქმნის მოვლენას, რომელიც არ არსებობს. მაშინ როცა, კანონი მოვლენის მხოლოდ მართვის ვერსიას გვთავაზობს.

ნონსენსია: ვითომც კანონი ქმნიდეს მოვლენას და არა მოვლენა - კანონს, რომელიც ამა თუ იმ სოციალური ფენომენის დერივატია, წარმოადგენს მის სამართებლივ ანარეკლს /ხატს, მოდელს/, ნორმას, მეტნაკლები სისრულით რომ ასახავს მოვლენის არსსაც და მასთან ერთად, ამ მოვლენისადმი კანონმდებლის მიმართებასაც, რომლის შეშქობითაც საზოგადოებისათვის, მოქალაქეთათვის საცნაური ხდება მოცემული ფენომენის რაობა.

ამრიგად, ილაშქრებენ რა საქართველოს ფედერაციული მოწყობის წინააღმდეგ, ოპონენტები ვერდნობიან აბსურდულ საფუძველს: კანონი ქმნის მოვლენას. მცდარ კრიტერიუმს ისინი, ცხადია, უმართებულო დასკვნებამდე მიჰყავს. საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე ერთმა პატივცემულმა მოღვაწემ ისიც კი განაცხადა, რომ უკვე იდეაში არსებული ფედერალიზმი თავისთავად არის მისი პრაქტიკული განხორციელების საწინდარიო.

ასე იოლად რომ იყოს საქმე!

გაიფიქრებ და მორჩა - საწადელი მიღწეულია.

მ. წერეთლის თქმისა არ იყოს, "ამისთანა ხალხის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა არც არის საინტერესო".

ფედერალიზმი და რუსეთის ფედერაცია

უფრო სერიოზული ოპონენტები პირდაპირ მიუთითებენ რეალურად არსებულ მოვლენაზე – სეპარატიზმზე /აფხაზეთი, ცხინვალის ზონა/ და აცხადებენ, რომ დათმობა პოლიტიკური მოწყობის საკითხში ცენტრიდანული ტენდენციების წახალისებას ნიშნავს, რაც ხვალზე კონფედერაციამდე /ამას მოითხოვენ სეპარატისტები/, ხოლო აქედან – საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლამდე მიგვიყვანს. მეტი დამაჯერებლობისათვის ისინი ხელს იშვერენ რუსეთისაკენ, რომელიც ფედერაციიდან კონფედერაციის გავლით დეზინტეგრაციისაკენ მიექანება.

არადა, სწორედ ეს უკანასკნელი “არგუმენტუმ აღ კომინემ” არის ოპონენტთა ყველაზე უსუსური სამტკიცო, რომელიც მათი აზროვნების სტილისტიკას, ზერელობასა და ფორმალიზმს, ხოლო უარეს შემთხვევაში – ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ მიზანდასახულობებს ააშკარავებს.

აბა, რა დიდი ფიცი და მტკიცო ესაჭიროება იმის აღიარებას, რომ რუსეთი არასოდეს ყოფილა და ამ სახით ვერც ოდესმე იქნება ფედერაცია /გვიანდელი ლათინურიდან ფოედერატიო – “გაერთიანება”, “კავშირი”, თუმცა ოთხმოცი წელიწადია “რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკად” იწოდება. იგი იყო და სამწუხაროდ, კვლავაც რჩება ყველა დროის უდიდეს, ხოლო თანამედროვეობის – უკანასკნელ მსოფლიო იმპერიად, ანაქრონიზმად, რომლის წარხოცაც პირისაგან მიწისა დროის საკითხია.

ამჟამინდელი რუსეთი სამ ათეულზე მეტი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან შემდგარ კონგლომერატს წარმოადგენს, რომლის მართვაც დემოკრატიული მეთოდებით სრულიად შეუძლებელია. სხვა საშუალებებს ცენტრალური ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებად მიმართავს სათანადო ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური რესურსების სიმწირის ან მათი სრული უქონლობის გამო. იმპერიის დაშლას რომ ვერც ფედერალიზმით შეაჩერებ და ვერც – კონფედერალიზმით, ამის თვალსაჩინო ნიმუში ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს თავგადასავალია, რომლის დეზინტეგრაცია ჯერ ისევ არ არის დასრულებული. ბრიტანეთის თანამეგობრობამ გამოცდას ვერ

გაუძლო, თუმცა ინგლისი კვლავაც ინარჩუნებს ოდინდელი გავლენის ფორმალურ ნიშნებს ყოფილ კოლონიებზე /კანადა, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია.../.

ყოველივე ამის გამო, ანტირუსეთუმიებს გულს მაინცდამაინც ნუ მოეფონებათ და სანამ “პოპლას” დაიძახებდნენ, დაკვირვებით მიმოიხედონ ირგვლივ, ვინძლო რაიმე ფათერაკს არ გადაეყარონ.

რუსეთის გავლენის შესუსტებას კავკასიაში (რაც უკვე მომხდარი ფაქტია) შესაძლოა საქართველოში არცთუ სახარბიელო შედეგები მოჰყვეს, მით უფრო მაშინ, თუ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვაკუუმის შევსება ადგილობრივი ძალებით არ მოხერხდება.

წევვის დაცემა ქარიშხლის მომასწავებელია.

ხორშაყის სუნთქვა უკვე სწვდება საქართველოს. ჭკუათ-ყოფელი არ უნდა უარყოფდეს, რომ შექმნილი ვითარება სწორედ ამის შედეგია და არა, ვთქვათ, ყოველმხრივ შევიწროებული უდანაშაულო დამნაშავეის – ფედერალური მოწყობისა, რომლის განხორციელებასაც მხოლოდ ახლა – პოსტ ფაქტუმ დიდის დაგვიანებით ესწრაფვის არა მარტო შორსმჭვრეტელი, არამედ – კაცთმოყვარე ნაწილი ქართული ელიტისა, რათა როგორმე იხსნას ქვეყანა, აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მოაწესრიგოს საშინაო პოლიტიკური ვითარება.

რუსეთის დეზინტეგრაცია მსოფლიო-ისტორიული პროცესია და მას წინ ვერაფერი დაუდგება. ამ გლობალური მდინარების შესაბამისად მოქმედება მხოლოდ სიკეთეს თუ მოუტანს, უწინარეს ყოვლისა, თვით რუსეთსა და მიმდებარე რეგიონების ქვეყნებს, მთელ კაცობრიობას, მაშინ როცა, იმპერიის უმართავი ნგრევა საყოველთაო კატასტროფას გამოიწვევდა.

ფედერალიზმის კონცეფცია, რომლის პრაქტიკულ განხორციელებასაც ცდილობენ რუსეთის მმართველი წრეები, ამ აპოკალიფსურ ნგრევას უშლის ხელს. ამრიგად, სინამდვილეში – თვით რუსეთშიც კი ფედერაციული მოწყობის იდეა დადებით როლს ასრულებს იმპერიის დეზინტეგრაციის გზაზე, იძლევა რა ცენტრიდანული პროცესების მართვის შესაძლებლობებს და არა – პირიქით, როგორც მაჩინათ პატივცემულ ოპონენტებს. სხვა საკითხია, რომ “იმპერია” და “ფედერაციული” მოწყობა,

საზოგადოდ, შეუთავსებელი ცნებებია, ისევე როგორც, მაგალითად, "იმპერია" და "დემოკრატია". ამიტომაც არის რუსეთული ფედერალიზმი ფაქტობრივი კონფედერალიზმის /როგორც სტატუსკვოს/ ფსევდოტერმინოლოგიური გაფორმება, რომელიც, თავის მხრივ, გარდამავალი ეტაპია ყოფილი იმპერიის სივრცეზე ათეულობით ახალი, მათ შორის, რუსულენოვანი სახელმწიფოების ჩამოყალიბების გზაზე.

კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში სრულიად საპირისპირო ვითარებაა. სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, კავკასიის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ურთიერთდაახლოების სულ უფრო მზარდ ტენდენციებს ამჟღავნებენ. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს ძირითად კულტურულ ფასეულობათა, ძირბველ ტრადიციათა გენეტიკური ნათესაობა. თუ ამას დაუმატებთ საერთო-რეგიონულ ინტერესთა თანხედრასაც, რომელთა შორისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავკასიის ქვეყნების კონფედერაცია დე-ფაქტო /და არა იმდენად – დე-იურე/ უახლოესი ათწლეულების ამოცანას წარმოადგენს. ამ ფონზე საქართველოს ფედერაციული მოწყობა საგარეო-პოლიტიკურ ღირებულებასაც იძენს.

სეპარატიზმი და პოლიტიკური პარანოია

შეიძლება თუ არა მიჩნეულ იქნეს ფედერალური მოწყობა სეპარატიზმის წახალისებად ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ფარგლებში?

ჩვენი მოსაზრებით, სეპარატიზმის წაქეზება ის იქნებოდა, კვლავაც ჯიქურ დაგვეცვა უნიტარიზმის პოზიციები და უარი გვეთქვა საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე, რაც, თუ მხედველობაში მივიღებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის ხასიათს, უკვე კარგა ხნის წინათ მომხდარ ფაქტს წარმოადგენს, რომლის იურიდიული გაფორმებაც მხოლოდ დროის საკითხია.

ფედერალიზმის უკუგდებათ კიდევ ერთ და იქნებ ყველაზე დამაჯერებელ საბაბს მივცემდით სეპარატისტებს – ხმაური აეტეხათ პრობლემის სამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტის შესაძლებლობის გამო /რალა თქმა უნდა, ქართული მხარის მიზეზით/ და უფრო ენერგიულად მოეთხოვათ საერთაშორისო აღიარება ან მიეღწიათ შუალედური მიზნისათვის – აბჯერად რუსეთის ფედერაციის ფარგლებში.

სეპარატიზმი ეფექტური საშუალებაა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. ამიტომაც სეპარატისტთა მისწრაფებებს რუსეთი მზადყოფნით შეხვდა. მაგრამ მოსკოვში ვერ გაითვალისწიეს, რომ სეპარატიზმის ფართო მხოლოდ თვითონ როდი ისარგებლებდნენ.

რუსეთმა ამიერკავკასიაში ქარი დათესა და იმიერკავკასიაში ქარიშხალი მოიმკო.

აფხაზეთის მიერთებით რუსეთი კიდევ ერთ საბედისწერო შეცდომას დაუშვებდა და ამით საბოლოოდ შეკრავდა ანტირუსეთულ ფრონტს კავკასიაში, რაც იმპერიისათვის შავი ზღვის დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა.

ფედერაციული მოწყობა აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას – ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას აფხაზეთზე /და რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთზე/, რასაც მანამდე – საბჭოთა კავშირში ფრიად პირობითი, ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ოპონენტებისაგან განსხვავებით, სეპარატისტები კარგად ხვდებიან, რომ ფედერაციული მოწყობისა და ამდენად, განვითარებული დემოკ-

რატიის პირობებში მათი დღეები დათვლილია. დემოკრატიული მმართველობა, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნები ფსევდოეთნოკრატიას /უკეთ – ანტიეთნიურ პოლიტიკას/ საბოლოოდ დაუსვამს წერტილს. ეს არათუ დააქინებს ფედერაციის სუბიექტების როლსა და მნიშვნელობას, მათ ხვედრით წილსა და გაეღენას სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, არამედ, პირიქით, გაზრდის კიდევაც მას, ვინაიდან დისკრიმინირებულ ქართველობასთან ერთად რეალურ პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს მიანიჭებს აფხაზეთის მთელ მოსახლეობას, აქ მცხოვრებ რუსებს, სომხებს, უკრაინელებს, ბერძნებს, ესტონელებს..., რომელთაც ეს უფლებები მანამდე ფაქტობრივად წართმეული ჰქონდათ, უკეთუ არ გაიზიარებდნენ ეთნოკრატების მისწრაფებებს. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელთ ყველა საშუალებით უჭერდნენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას, სხვადასხვა ჯგურის სოვეტოფილები და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ანტი-რუსული ძალები, რომლებიც რუსეთშიც ისევე ეფარებიან ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევისა და მათი უფლებების დაცვის ღონისძიებებს, როგორც – ჩვენში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოწინააღმდეგენი.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა თათრეთის პრეზიდენტის მ. შამიევის მწვავე რეაქცია რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ე. შუმეიკოს გამონათქვამებზე. შამიევისაგან არძინბას გამოსარჩლება სხვა არაფერია, თუ არა იმის გამჟღავნება, რომ იგი მხარს უჭერს არძინბასა და K⁰-ს საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და ასევე განიხილავს აფხაზ სეპარატისტთა ყველა ანტიქართულ ღონისძიებას. ეს ალიანსი კიდევ ერთხელ ააშკარავებს იმ ილუზორული სახელმწიფოს კონფიგურაციას, რომლის უკიდურესი საშრეთი წერტილი აფხაზეთი უნდა იყოს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი – თათრეთის რესპუბლიკა. საქართველო, რაღა თქმა უნდა, ძნელად თუ შეეწინააღმდეგება ამ პროექტს. ჩვენი ქვეყანა გარემოებათა ძალით, ვინ იცის, მერამდენედ არის მოქცეული მოვლენათა განვითარების ეპიცენტრში. ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ ქართველ პოლიტიკოსებსა და ხალხს ექმნებათ შთაბეჭდილება, ვითომც აღნიშნული მოძრაობის მთავარი მიზანი საქართველო იყოს. სინამდვილეში საქართველო მხოლოდ პოლი-

გონად არის გამოყენებული. ჩეჩნეთის მოვლენები ცხადყოფს, თუ საით არის მიმართული ბრძოლის ვექტორი. ძირითადი ამოცანა რუსეთის იმპერიის სრული დეზიტეგრაციაა. მაგრამ ანტირუსული მოძრაობის ინიციატორები შორს იმზირებან. მათ იციან, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კარგა ხანს ვერ შეიძლებენ სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის ფორმირებას. ამიტომაც ისინი ამთავითვე ცდილობენ საფუძველი ჩაუყარონ ახალ სახელმწიფოთაშორის გაერთიანებას, რომელსაც აუცილებლად უნდა აქონდეს გასასვლელი შავ ზღვაზე. მაგრამ აქ დიდი სიმჭიდროვეა. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს დიდი ნაწილი უკრაინისა და რუსეთის ხელთაა. ეს ტერიტორია აღნიშნული პროექტის ავტორებსა და მათ სამხრეთელ გულშემატკივრებს, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებთ, ვინაიდან ყოველთვის არის მოსალოდნელი საკომუნიკაციო არხების გადაკეტვა. ამ თვალსაზრისით აფხაზეთი უაღრესად მიზნოვანი ანკლავს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ჯიბრზე რუსეთმა შესაძლოა “არავის ტერიტორიად” აქციოს და ამით შეასუსტოს დაწოლა იმპერიის ცენტრალურ რეგიონებზე. ეს, რა თქმა უნდა, დროებითი ღონისძიება იქნებოდა, რომელიც მხოლოდ გააჭიანურებს რუსეთის დაშლის პროცესს, მაგრამ მდგომარეობას ვერ იხსნის. საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც გატაცებულია რუსეთის “დემოკრატიული გარდაქმნის” იდეით, სამწუხაროდ, ჯეროვანი პასუხისმგებლობით ვერ ეკიდება შექნილ ვითარებას, ახალ რეალობებს, რეგიონის განვითარების უახლოეს პერსპექტივას. იგივე ითქმის როგორც რუსული, ისე – ქართული ისთაბლიშმენტის პოლიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკის თაობაზეც.

ამრიგად, საქართველოსა და რუსეთის წინაშე გაცილებით რთული პრობლემები დგას, ვინემ ერთმანეთთან უნაყოფო ჭიდილი და მეტოქეობაა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა სულ უფრო იქცევა აუცილებლობად, რამდენადაც იგი შეესაბამება ორი მეზობელი სახელმწიფოს, აგრეთვე რეგიონის სხვა ქვეყნების მშვიდობიანი განვითარებისა და სტაბილიზაციის ინტერესებს.

სეპარატიზმი გლობალურ კონტექსტში

სეპარატიზმის წამალი ყოველთვის იყო და არის გონივრული მორიგება (თუ გარიგება) ცენტრსა და პერიფერიას შორის, მაგრამ არაერთარ შემთხვევაში – ჯიქური დაპირისპირება და მით უფრო – ომი, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას და ახალ-ახალ სტიმულს აძლევს კონფლიქტის ინიციატორებს.

რაკი არსებობს მოვლენა, მისი მონიტორინგისა და მართვის შესაძლებლობაც უნდა გამოიძებნოს.

ჩვენ გვესმის, რომ წაგებული ომის პირობებში ძნელია მშვიდობიანად აღადგინო სტატუს-კვო და ამრიგად მიღწიო ფაქტობრივ / და არა მოჩვენებით/ გამარჯვებას. მეორე მხრივ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის /ისევე როგორც ცხინვალის ზონის/ კონფლიქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკური ხასიათის ფართომასშტაბიან ომად. იგი უფრო საომარი ეპიზოდია, ერთ-ერთი მარცხია ქვეყნის გამთლიანებისაკენ მიმავალ გზაზე. ძნელი წარმოსადგენია ამას არ გრძნობდნენ სეპარატისტები, რომელთაც ისარგებლეს გარდამავალი ეპოქის სიდუხჭირით, მათ შორის, საშინაო დაპირისპირებით, მცდარი საგარეო პოლიტიკით, დრო იხელთეს და ქვეყნის ტერიტორიის თითქმის მეხუთედი მიიტაცეს.

ხუთიოდე წელიწადში იმის ერთბაშად აღდგენა, რაც ხუთასი წლის განმავლობაში ინგრეოდა, მით უფრო ისეთ რეგიონში, სადაც საქართველო მდებარეობს, – სრულიად შეუძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქვეყნის პოლიტიკური აზროვნება უნაკლოდ მუშაობს.

ჩვენ მეტად მძიმე შეცდომები დაეუშვით: უწინარესად, შეეცოდეთ ერთმანეთის წინაშე, უხეიროდ და ხშირად დანაშაულებრივად წარემართეთ საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რათა როგორმე დაგვენარჩუნებინა ხელისუფლების ტახტი. ამის მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლება, როგორც ითქვა, დამოუკიდებლობის მოპოვების მეხუთე წლისთავზე მაინც აკონტროლებდა ქვეყნის ტერიტორიის 80 – 85 პროცენტს, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მკვიდრობს. ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარი და საიმედო პლაცდარშია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

მოგვიწონს ჩვენ იგი – ფედერალიზმი თუ არა, სხვა გზას

საომარ მოქმედებათა განახლებისაკენ მივყავართ, რაც არ შეიძლება შედიოდეს არც საქართველოსა და არც რუსეთის პატრიოტთა ინტერესებში. ეს სერიოზულ დესტაბილიზაციას გამოიწვევდა არა მარტო კავკასიის, არამედ — მთელი მიმდებარე რეგიონის მასშტაბით, უწინარესად ყოვლისა, მახლობელ აღმოსავლეთში, რომელიც ისედაც დენტის კასრს მოგვაკონებს.

ბანალური ჭეშმარიტებაა: კავკასიის, განსაკუთრებით — ამიერ-კავკასიის რეგიონში როგორც ფოკუსში იყრის თავს არა მარტო რომელიმე ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის, არამედ — მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები. ამიტომაც კავკასიისადმი უდიერი დამოკიდებულება მათ ინიციატორებს ბუმერანგივით დაუბრუნდება. გონიერ მსოფლიოს ხელს არ აძლევს ომის ქარცეცხლში გახვეული კავკასია, მაშინ როცა, მშვიდობიანი შავიზღვისპირეთი ყველას ინტერესებს შეესაბამება.

ახალ მსოფლიო წესრიგში სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს მახლობელი აღმოსავლეთი, ხოლო რეგიონში — კავკასია. საქართველოს მეორეხარისხოვანი ფუნქცია არასოდეს ჰქონია კავკასიაში. ამიტომაც იგი ორგანულად არის ჩაბმული გლობალურ-პროცესებში. გვსურს ეს ჩვენ თუ არა, დამოუკიდებლობის მოპოვება თავისთავად განაპირობებს საქართველოს ისტორიული პოლიტიკური ფუნქციის აღდგენას, რასაც სათანადოდ გაცნობიერება და ადექვატური მოქმედება ესაჭიროება.

აფხაზეთის /აგრეთვე ცხინვალის ზონის/ პრობლემა ამ პროცესის ერთი კერძო შემთხვევაა და არა — განსაკუთრებული ფენომენი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. საამისო პირობები მწიფდება და კვანძის გახსნაც ახლოვდება. სხვა საკითხია: თვითონ ჩვენ რამდენად ვართ მზად იმ გლობალური ტენდენციების დასახვედრად, რომელთა მოქმედება სულ უფრო იჩენს თავს კავკასიის რეგიონში. მათთან შედარებით ფსევდოეთნოკონფლიქტების საკითხი, მთელი მისი სირთულისა და დრამატულობის მიუხედავად, რიგით ფრაგმენტად გამოიყურება.

ამიტომაც ჩვენი თითოეული ნაბიჯი ერთი რომელიმე ლოკალის ვნებათღელვას კი არ უნდა შევეუსაბამოთ, არამედ — ძირეული გარდაქმნის გზაზე შემდგარი მსოფლიოს მაჯისცემას.

თუ ფედერალიზმის მეშვეობით მოგვარდება აფხაზეთისა და ცხინ-
ვალის ზონის კონფლიქტები, სახელმწიფოს ყველა სუბიექტი და მთლიანად
ქვეყანა მხოლოდ მოიგებს. ამას მოითხოვს ერთიანი საქართველოს ინტერესები,
რომლებიც, თავის მხრივ, ზოგადკავკასიური და ევროპული, მსოფლიო
ინტეგრაციის გლობალურ ტენდენციებს შეესაბამება.

ორ ზღვას შორის

ოპონენტები შიშობენ, რომ ქვეყნის ფედერალური მოწყობა გააძნელებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

ძალიანაც თუ გწავლია ამ თვალსაზრისის დაცვა, მაინც არაფერი გამოგვივა. უბრალო არითმეტიკის ამბავია: თუ შეიძლება იმართოს ამჟამინდელი საქართველოს 125 დიდი დასახლებული პუნქტი (რაიონი, ქალაქი...), რატომ უნდა გაჭირდეს ათიოდე რესპუბლიკისა და მხარის მართვა? პირიქით, ცენტრალური ხელისუფლების ამოცანა განა ამით არ იოლდება?

ქვეყანა რეგიონული მართვის პრინციპზე გადადის. ამგვარმა ზედგომამ უკვე გაამართლა. პერიფერიებთან ურთიერთობის გაშწკვაება რეგიონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი იყო. მარცხიც კანონზომიერი გახლდათ. უნიტარისტული ცენტრი დამარცხდა დეცენტრალიზაციის მოთხოვნებთან ჭიდილში. დამაფიქრებელია, რომ განცილები ფიასკოს მიუხედავად, თბილისი კვლავ რჩება უნიტარისტთა მექად და მედინად. უნიტარიზმისადმი ერთგულებით თავს იწონებს პერიფერიათა არაერთი წარმომადგენელიც, რომლებიც დედაქალაქის მხარდაჭერით იმედოვნებენ თავიანთი პოზიციების აღგილებზე განმტკიცებას. იმპერიულ სულისკვეთებას დიდი დრო არ უწერია, მაგრამ ჯერ კიდევ ძალუძს დაბრკოლებები შეუქმნას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აღორძინებას.

მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო.

ვის ესიზმრება თუ ელანდება პაწიპა მეფეები ისტორიულ კუთხეებში?! ალბათ მათ, ვისაც სურს კვლავინდებურად ასწავლოს ჭკუა “პროვინციებსა” და “პროვინციელებს”, ვინმლო რაიმეს გამორჩეს პერიფერიას წილის, ქრთამის... სახით. მათ სამხარეო ფედერალიზმი დიდად არ ეპიტნაებათ. იმიტომ რომ, მხარის რანგში აზიდული კუთხე უფრო მიუდგომელიცაა ძალად მაცხონე “გულშემატკივართათვის”, ვინემ — დანაწევრებული, ურთერთდაპირისპირებული და ცენტრისაკენ მომლოდინედ შხირალი რაიონები თუ ქალაქები. სამხარეო რწმუნებულთან ბაქიობა გაცილებით რთული საქმეა, ვინემ — ცენტრიდან დაშორებულ გამგებულთან, რომელიც, ძალიანაც რომ გაუჭირდეს, მეზობელი რაიონის გამგეობის თავმჯდომარესაც ვერ მიმართავს დახმარებისათვის, ვინაიდან

ისიც ასევე შეჭირვებულია ცენტრის, სინამდვილეში – პოლიტიკური მაფიის ემისრებით.

სამხარეო მოწყობის ექსპერიმენტმა, როგორც ითქვა, გაამართლა: ერთმანეთს ზურგშექცეულმა რაიონებმა და ქალაქებმა ერთმანეთისაკენ მოიხედეს, დაიწყო მათი ურთიერთკოორდინაცია, სამხარეო რესურსების გამოვლენა-შესწავლა და მობილიზაცია. ნუთუ მავანს სერიოზულად მიაჩნია, რომ ფედერალიზმი სადმე მართლაც წარმოშობს მეფეს ან რეგიონული მასშტაბის დიქტატორს? სად არის – რომელ ეპოქასა თუ ქვეყანაში საამისო მაგალითი?

თუმცა უნიტარისტებს მაგალითებისა და ანალოგიების მოხმობა მინცდამინც არ უყვართ. ისინი მხოლოდ გვიმტკიცებენ, რომ თურმე “საქართველო სხვაა”. ამით თითქოს გვეუბნებიან, რომ საქართველოში შეიძლება მოხდეს ის, რაც სხვაგან არ მომხდარა. არის გაუთავებელი წუწუნი ქართველი კაცის ჭირვეულ ბუნებაზე, მის მეტისმეტ ინდივიდუალიზმზე, კარიერისტულ სნეულებაზე, გაუტანლობაზე...

ქართველთა განსაკუთრებულობის მეზობლებს გული უნდა ვატკინოთ: ქართველიც ისეთივე ჩვეულებრივი მოკვდავია, როგორიც – ამერიკელი ესკიმოსი ან – მოზამბიკელი შონა თუ მალავი. ქართველი კაცი, რაღა თქმა უნდა, განირჩევა სხვათაგან. მაგრამ მის ხასიათში მეტწილად არაფერია უჩვეულო და მით უფრო – შიშისმომგვრელი. ქართველთა ხასიათის უარყოფით თვისებათა მნიშვნელოვანი ნაწილი /გაუტანლობა, დაუნდობლობა.../ სხვა ერებისათვისაც არ არის უცხო და ეს ნეგატივი იმის შესაბამისად მატულობს, რაც უფრო ჩამორჩენილია ერი, სახელმწიფო, რაც უფრო დაბალია მოქალაქეთა მატერიალური და განსაკუთრებით – სულიერი კეთილდღეობის დონე.

საქართველო, რა თქმა უნდა, “სხვაა” – განსხვავებულია დანარჩენი მსოფლიოსაგან. მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ღირსება როდია. ასევე გამოირჩევა, ვთქვათ, ნიდერლანდი მეზობელი ბელგიისა და ლუქსემბურგისაგან თუ შორეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისაგან...

საქართველოს თავისებურებებზე მსჯელობისას, სასურველია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს, რომ ჩვენი ქვეყანა ძველისძველი

ცივილიზაციის ნაშთია – ერთგვარი კონგლომერატია, რომლის თავისებურებათა შესწავლა მომავლის საქმეა. ვინ იცის, სწორედ ამის გამოისობით, საქართველო არასოდეს ყოფილა შუასაუკუნეობრივ დესპოტიათა დარად შეკრული სახელმწიფო, მაშინაც კი, როდესაც ეს თითქოს სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამის შედეგად შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ ქვეყანამ ვერა და ვერ მიაღწია თავისი განვითარების ზენიტს და “ყოველი საქართველოს” ზღურბლთან შეყოვნდა. აღნიშნული თვალსაზრისით, საქართველო მუდამ არაქრონიზმს წარმოადგენდა. მისი განვითარება ისეთ წინააღმდეგობაში მოდიოდა, ვთქვათ, მეზობლად მიმდინარე პროცესებთან, რომ მსგავს ვითარებაში არათუ სახელმწიფოებრიობის, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის, მეტიც – ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაც საეჭვო იყო. ქართველი ერის გადარჩენაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებული როლი შეასრულა გეოგრაფიულმა გარემომ, იმ ბუნებრივმა ზღუდეებმა, რომელთა ფარგლებშიც აღმოჩნდა მოქცეული ქვეყანა რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე.

ის, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა კლასიკური ტიპის უნიტარული სახელმწიფო, სულაც არ აიხსნება მარტოოდენ ქართველთა გულარზეინობით. საქართველოს არამდგრადი პოლიტიკური ორგანიზმის ჭეშმარიტი მიზეზები არქაულ ისტორიაშია საძიებელი.

ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო.
რომელ ორ ზღვაზეა აქ საუბარი?

რალა თქმა უნდა, შავ და კასპიის ზღვებზე. მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ “შავი ზღვა” “ჩრდილოეთის ზღვას” აღნიშნავდა მათთვის, ვინც მას “შავს” უწოდებდა, ხოლო ჩრდილოეთს – “შავეთს”? ქართველი მეცნიერები ზოგჯერ პირდაპირ, მაგრამ მეტწილად მინიშნებებით მიუთითებენ საქართველოს ისტორიული გზის უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებზე, ფაქტორებზე, რომელთა ძალითაც

ქვეყანა ვერ ჩამოყალიბდა კლასიკურ უნიტარულ სახელმწიფოდ. იგი ან უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა ანაც გადარჩენილიყო უაღრესად თავისებური კულტურული კონგლომერატის სახით. ამ თვალსაზრისით ისტორიამ მართლაც გამოარჩია ქართველობა და საქართველო, მაგრამ არ გვეგონია, ოპონენტები ასე შორს მიდიოდნენ. მაშინ ისინი უფრო მოწყალენი იქნებოდნენ ფედერალიზმის იდეის მიმართ.

უნიტარიზმის აღსასრული

საქართველო არასოდეს ყოფილა და ვერც იქნებოდა ფედერაციული სახელმწიფო, მაგრამ იგი არც უნიტარისტულ ქვეყნად ჩამოყალიბებულა. ასეთია ამ მეტად თავისებური სოციოკულტურული კონგლომერატის ისტორიული ბედი. საქართველოს პოლიტიკური ველი ერთთავად სცილდებოდა იმ ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ საზღვრებს, რომლებიც წამდაუწუმ იცვლებოდა და სრულად არასოდეს მოიცავდა “ფრიად” თუ “ყოველ” ქართლად ან საქართველოდ წოდებულ კულტურულ-პოლიტიკურ არეალს.

საზოგადოდ, ფედერალიზმზე ლაპარაკი ადრეულ სტადიებზე გამართლებული არ არის. თუ ამ მოვლენის ნიშნების ძიებას ე.წ. “ფეოდალურ” საქართველოში დავიწყებთ, ემპირიონულ სეგმენტს იქნებ მივაკვლიოთ კიდევაც, მაგრამ იმჟამინდელი სიმპტომები იმდენად მკრთალად არის გამოსახული, რომ უფრო ვარაუდია შესაძლებელი, ვინემ – საფუძვლიანი დასკვნის ჩამოყალიბება. ფედერალიზმი გაცილებით გვიანდელი ეპოქის პროდუქტია, როდესაც საზოგადოებრივი აზროვნების რენესანსი, რეფორმაცია და განმანათლებლობა, ხოლო მათთან ერთად საკუთრებითი ურთიერთობების ევოლუციის ახალი ეტაპი პირდაპირ უკავშირდება, ერთი მხრივ, პიროვნული თავისუფლების იდეის პრაქტიკულ რეალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ – მეწარმეთა რეგიონულ ინტეგრაციასა და აქედან – რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ტენდენციებს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს, მოგვიანებით – ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირობებს ქმნის.

დაქუცმაცებული და დანაწევრებული ქვეყნის ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღორძინება ფედერალიზმის ან მასთან ახლოს მდგომი – რეგიონალიზმის თვინიერ შეუძლებელია. ამ ორ მოვლენას შორის სხვაობა ხშირად სრულიად უმნიშვნელო გახლავთ, თუმცა უკანასკნელი უფრო ე.წ. უნიტარული სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი და ზოგად ხაზებში ასიმეტრული ფედერალიზმის იდეების გადამღერებას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, ეწოდება ქვეყანას “ფედერაცია” თუ – არა.

ოპონენტები გვიკვირებენ, რომ ჩვენ გვსურს დავშალოთ ერთიანი, უნიტარული საქართველო.

მოდით, პირდაპირ – პოლიტიკური კეკლუცობის, პოპულიზმისა და რაც მთავარია, რომანტიზმის გარეშე შევაფასოთ საქმის ვითარება. რომელ ერთიან, უნიტარულ საქართველოზეა საუბარი?

იმ საქართველოზე, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი – საქართველო საქართველოსა – აჭარა დანარჩენ სახელმწიფოსთან ფაქტობრივად ფედერალურ ურთიერთობაში იმყოფება აგერ უკვე სამოცდათხუთმეტი წელიწადია?

როგორც ირკვევა, ლაპარაკი ყოფილა საქართველოზე ავტონომიების გარეშე. გამოდის, უნიტარისტები არსებითად აღიარებენ, რომ ავტონომიებთან ერთად საქართველო ფედერაციული რესპუბლიკაა ათეული წლებია. როგორც ამბობენ, ფაქტი ჯიუტი რამაა და მას უნიტარისტიც კი ვერსად გაექცევა.

სავსებით გასაგებია /თუმცა ყოვლად გაუმართლებელი/ არაერთგზის გამოთქმული ავტონომიური წარმონაქმნების გაუქმების სურვილი. მაგრამ ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს, თუ რა უბედურებაში ჩაგვეყარა ამ პარანოიდულმა იდეფიქსმა?

ახლა ვცადოთ მოვიძიოთ ის “უნიტარული საქართველო”, რომელსაც ებლაუჭებიან ჩვენი პატრიოტები. დროებით დავანებოთ თავი იმას, რომ ეს ე.წ. უნიტარული ქვეყანაც რეგიონებისაგან შედგება. აღნიშნული რეგიონები მართლაც უნიტარულ ურთიერთობაშია ცენტრალურ ხელისუფლებასთან. სხვა საკითხია, რომ ეს ურთიერთობა სულ უფრო მძიმე განსაცდელში ვარდება ადგილობრივი ტრადიციების აღორძინება-განვითარებასთან და საბაზრო ეკონომიკის განმტკიცებასთან ერთად.

უფრო შორსაც წავიდოდით: გავთამამდებოდით და შევნიშნავდით, რომ “უნიტარისტული საქართველო” თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ისევე როგორც, საბჭოთა ხანის ყველა სხვა გადმონაშთი. ჩვენმა ოპონენტებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს უნიტარიზმი არ არის საკუთრივ ქართული პოლიტიკური პრაქტიკის ნაყოფი და მისი ჭეშმარიტი შემოქმედი რუსეთის იმპერიაა, რომელსაც, როგორც პატრიოტები ბრძანებენ, თურმე დიდი დამსახურება მიუძღვის ძირძველი ქართული ტერიტორიების “შემოერთების”, ჩვენი მხრიდან დავაზუსტებდით: მათი დაპყრობისა და გასხვიების საქმეში. სამწუხაროდ, “მამულიშვილები” ვერ ხედავენ, რომ ის საფუძველი /იდეო-

ლოგია, არმია, სამართალი, ეკონომიკური წყობა.../, რომელმაც ამ ე.წ. უნიტარიზმის პირობები შექმნა საქართველოში, – აღარ ან თითქმის აღარ არსებობს. მაშასადამე, თვით უნიტარიზმსაც დიდი დღე არ უწერია. ამიტომაც საქმეს დროულად უნდა მივხედოთ და პოლიტიკური მოწყობის ისეთი იდეოლოგია შევთავაზოთ რეგიონებს, მათ შორის, “უნიტარისტულ საქართველოსაც”, რომელიც აქამომდე არსებელი საფუძვლის სრულ კომპენსაციას მოახდენდა. აშკარაა, უნიტარისტული ეკონომიკითა და სამართლით, არმიით... აქ ფონს ვერ გახვალ? მაშ, რაღა დაგვრჩენია?

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათაეისუფლე მონები!

არ მისცემ და ცხინვალ-ცხომი მონაგონი იქნება.

პატრიოტი, საფიქრებელია, აქეთკენ არ უნდა ეზიდებოდეს ქვეყანას.

აწმომოდან მომავლისაკენ... წარსულის გავლით

საქართველო უბრუნდება თავისი პოლიტიკური ისტორიის იმ ტეხილს, როდესაც გაწყდა მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ძაფი. ფედერალიზმის მეოხებით შესაძლებელია ამ უარყოფითი პროცესის განვითარების – ქვეყნის შუასაუკუნეობრივ ყაიდაზე დაშლა-დაქუცმაცების შეჩერება.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: შეწყდა რა იმ ფაქტორების მოქმედება, რომლებმაც ხელოვნურად გააერთიანა ქართული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი იმპერიის შემადგენლობაში, საქართველო კვლავ უბრუნდება რუსეთამდელ მდგომარეობას. იგი ინერციით შეიძლება კიდევ უფრო ღრმად ჩაექანოს ისტორიის სტიქიონში, რაც კატასტროფის ტოლფასი და ახალი ანექსიის მომასწავებელი იქნებოდა. საქმის ვითარებასაც ამ ისტორიული თვალსაზრისით უნდა შევხედოთ და ილუზორული დღევანდლობის ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ. ამჟამინდელი საქართველო, რაოდენ მისტიურადაც უნდა მოგვეჩვენოს, უკვე კარგა ხანია წარსულია. წარსულს კი თავისი კრიტერიუმები და რეალობები აქვს და ჩვენც მათ შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

პირველი ზღუდე, სადაც უნდა დაბრკოლდეს საქართველოს დეზინტეგრაცია, XVIII საუკუნის მეორე ნახევარია, როდესაც ქვეყანა სამეფო-სამთავროებად იყო დანაწევრებული. იმხანად ქართულ ელიტას არ აღმოაჩნდა პოლიტიკური აზროვნების სიმაღლე, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის ფედერალურ საწყისებზე გაერთიანებისათვის. აქ მთავარ დაბრკოლებად რჩებოდა პარტიკულარისტული მონარქიზმი, რომლის პირობებშიც ფედერალიზმის იდეის განხორციელება სრულიად შეუძლებელი გახლდათ.

ეს პრობლემა დღესდღეობით მოხსნილია. პოლიტიკური აზროვნება და მსოფლიოს განვითარების ამჟამინდელი დონე სავსებით უწყობს ხელს ფედერალიზმის იდეის გამარჯვებას საქართველოში. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ფედერალიზმი საქართველოს გავლით ისწრაფვის აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს ამ რეგიონების ქვეყნების დემოკრატიული გავითარების პროცესს. ასე რომ, გლობალური თვალსაზრისითაც საქართველოში ფედერალურ

მოწყობას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველო წინ ვერ აღუდგება განმსაზღვრელი მნიშვნელობის ტენდენციებს, ანაც – მათი მსხვერპლი შეიქნება.

საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცების პროცესი უკვე სასხეზეა. თუ ალლო დროულად არ ავუღეთ მოვლენათა განვითარებას, იგი კიდევ უფრო გაღრმავდება და შეუქცევადი გახდება. ხომ შეიძლება ერთხელ მაინც დავასწროთ მოვლენებს, რათა შემდგომ გვიან არ იყოს თითზე კბენანი?

საქართველოს ფედერალიზაცია საუკეთესო გამოსავალია შექმნილ ვითარებაში.

ფედერალიზმი და ბიუროკრატია

ფედერალიზმსა და უნიტარიზმზე მსჯელობისას ოპონენტებს მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ იმპერიულმა უნიტარიზმმა, საქართველოსათვის ძალით თავსმოხვეულმა პოლიტიკურმა მოწყობამ ქვეყნის რეგიონების უთანაბრო განვითარება მოიტანა. სწორედ ეს არის იმ დაპირისპირებულობის ძირითადი მიზეზი, რომელმაც ბოლო ხანს განსაკუთრებით იჩინა თავი.

XX საუკუნის შუახანებიდან პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა თვალსაზრისით საქართველოში გამოირჩეოდა ოთხი წარმონაქმნი – აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები, აგრეთვე დედაქალაქი – თბილისი.

თბილისს რაიმე განსაკუთრებული სტატუსი არ გააჩნდა, მაგრამ მისი გამორჩეულობა ეჭვს არ იწვევდა. იგი ცენტრალური ხელისუფლების უშუალო გაგრძელებად აღიქმებოდა. მნიშვნელოვან განსხვავებათა მიუხედავად, ამ წარმონაქმნებს აახლოებდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ: მართვის ორსაფეხურიანი სისტემა /სარაიონო-საქალაქო და რეგიონული/, რომლის ლოგიკური განვითარებაც მართვის საერთო-რესპუბლიკური საფეხური იყო. ამათგან განსხვავებით, ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში მოქმედებდა მხოლოდ ერთსაფეხურიანი – მართვის სარაიონო /საქალაქო/ სისტემა. შედეგად: იმ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელთა მოგვარებაც რეგიონში შეიძლებოდა, რაიონი იძულებული იყო “ცენტრისათვის” მიემართა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს წამებებიანი გახლდათ, მაგრამ ამას არაეინ დაგიდევდა. კიდევ უფრო საგრძნობი იყო პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული... ზარალი.

აღნიშნული უთანაბრობის გამო, რეგიონული მასშტაბის ბიუროკრატია, პოლიტიკოსი, მეცნიერების, განათლებისა თუ კულტურის მოღვაწე ანუ მოქალაქე, რომლის შესაძლებლობანი სცილდებოდა რაიონული აზროვნების ფარგლებს /მაგრამ რესპუბლიკურ მასშტაბს ვერ სწვდებოდა/, იძულებული იყო დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და სამუშაოდ /საცხოვრებლად/ ერთ-ერთ აღნიშნულ წარმონაქმნიში გადასულიყო, რათა საკუთარი უნარების რეალიზაცია მოეხდინა. ამგვარი მცდელობა, მეტწილად, უშედეგოდ მთაერდებოდა: მიგრანტს

უძნელდებოდა ახალ გარემოში დამკვიდრება, ვინაიდან სანუკვარი ადგილი ავტონომიებისა თუ დედაქალაქის მაცხოვრებელთაგან დაკავებული ხვდებოდა. ოდენ გამორჩეულ ნიჭს ან შეუვალ უზნეობას ხელეწიფებოდა გაეძლო კონკურენციისათვის. ეს მრავალ უარყოფით მოვლენას იწვევდა. მათგან უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებას ეწირებოდა უამრავი ენერგია, რაც, საბოლოო ანგარიშით, აკნინებდა ქვეყნის პოტენციალს, აფერხებდა ადგილობრივი რესურსების განვითარებას, იწვევდა არასასურველ შიდამიგრაციულ პროცესებს, ამახინჯებდა და ამძიმებდა დამოგრაფიულ სიტუაციას.

აღნიშნულ წარმონაქმნთაგან ცხოვრების ღონით, ცხადია, დედაქალაქი გამოირჩეოდა. ამიტომაც იგი მეტად მიშვიდველი იყო. ასე თანდათან იქცა თბილისი მეგაპოლისად, ხოლო საქართველო — თავკომბალად. აფხაზეთისაკენ დაიძრა დანარჩენი სამეგრელო და სვანეთი. მსგავსი მოვლენები ვითარდებოდა აჭარაშიც. შიდა ქართლი, ცხინვალის შემოგარენთან ერთად, რომელიც თბილისის სიახლოვეს მდებარეობდა, დედაქალაქის მიზიდულობას განიცდიდა. იგი ნელინელ დაიცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან — აქტიური ელემენტისაგან /უმთავრესად, ქართველებისა და ოსებისაგან/ და შეივსო ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ემიგრანტებით, რომელთაც თან მოჰქონდათ უცხო ტრადიციები, განწყობილებები, მიზანდასახულობანი. ამრიგად, რეგიონთა უთანაბრო განვითარების, მათი უთანაბრო უფლებრივი მდგომარეობის შედეგად ქვეყნის სოციალური ორგანიზმის ჰიპერტროფია მოჰყვა.

ეს, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. ნაცვლად იმისა, რომ გაგვეზრებინა შექმნილი ვითარება და დაგვესახა მდგომარეობის გამოწვრთვების ღონისძიებანი, ალქაჯებისა და მტრების ძიებას შეუდევქით. ელიტა, რომელსაც ეკისრებოდა სწორი ორიენტირები მოენიშნა საზოგადოებისათვის, პრობლემის გადაწყვეტის იოლ გზას დაადგა: გახშირდა საუბრები “სტუმრებზე”, “ჩამოთესლებულ გადამთიელებზე”, მათ “უმაღურობასა” და ქართველი კაცის “გულუბრყვილო”, “შიმნდობ” ბუნებაზე. მოკლედ, დაიწყო ქართული ულტრანაციონალიზმის, არცთუ პროვინციული ფაშიზმისა და აგრესიული რასიზმის აღორძინება. ბოლოს იქამდეც მივედით, რომ

სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში ერთი და იმავე ძალისმიერი მეთოდებით ვცადეთ გადაგვეწყვიტა შინაური პრობლემები, თანაც რუსეთთან უკიდურესი დაპირისპირების ვითარებაში და როგორც მოსალოდნელი იყო, მკაცრადაც დავისაჯეთ.

ამჯერად იძულებულნი ვართ რეალისტურად მივუდგეთ საკითხს, შევეცადოთ აღმოვფხვრათ მიზეზები, რომლებმაც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური დამახინჯება, მისი ცალკეული ნაწილების სრული ატროფია გამოიწვია.

უნიტარიზმის სამოსელში გახვეული ქართული შოვინიზმი უმთავრესი დაბრკოლებაა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღორძინების გზაზე, ვინაიდან სწორედ ის არას სეპარატიზმის, ეთნიკური ნაციონალიზმისა და პარტიკულარიზმის მასაზრდოებელი პირველწყარო. ქართული უნიტარისტული შოვინიზმით სულს იბრუნებს ყველა, ვისაც რაიმე ინტერესი გააჩნია საქართველოში. საბედნიეროდ, პროცესი სასურველი მიმართულებით ვითარდება და მისი მდინარების შეცვლა მაკანის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

თავი დავანებოთ ავტონომიების გაუქმებაზე ფიქრს და გაბედულად განვახორციელოთ რეგიონების უფლებამოსილებათა გათანაბრების პრინციპი – ქვეყნის რეგიონალიზაცია. სახელმწიფოში, სადაც უკვე არსებობს ფედერაციის სუბიექტები, რეგიონთა უფლებების დაბალანსება მხოლოდ ფედერაციული მოწყობის მეშვეობით არის შესაძლებელი. მაგრამ ეს საკითხი მყისიერად, ცხადია, ვერ გადაწყდება. რეგიონალიზმი, რომელსაც მხარს უჭერს პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი, შუალედური საფეხურია რეგიონების უფლებათა გათანაბრების გზაზე.

ავტორიტარიზმი უნიტარიზმის ნიღბით

კლასიკური ფედერალიზმის განხორციელება საქართველოში შეიძლება მრავალ დაბრკოლებას წააწყდეს. იგულისხმება ფედერალიზმი ტრადიციული, არქაული, რომლის საფუძველშიც ფედერაციის დამფუძნებლთა ხელშეკრულება ძევს. ის გარემოება, რომ აფხაზეთი ოდესღაც, ისიც ბოლშევიკების მოწადინებით, საქართველოში შემავალ ე.წ. “სახელშეკრულებო რესპუბლიკას” წარმოადგენდა (აგრეთვე “აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის” 1925 წლის კონსტიტუცია), სამართლებრივ არგუმენტად ვერ გამოდგება.

მიზეზი ტრაგიკულად მარტივია: 1921 წლის აგრესიითა და საქართველოს ოკუპაცია-ანექსიით საბჭოთა რუსეთმა განაგრძო ცარისტული რეჟიმის უკანონო ქმედებათა ტრადიცია. ამგვარი სამხედრო-პოლიტიკური და სამართლებრივი ძალადობის ნიმუშები იყო “საბჭოთა საქართველოს” ყველა ძირითადი კანონი, მათ შორის, 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციაც. დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის პირველი აბზაცისა და მე-10 მუხლის ძალით, აღნიშნული დოკუმენტები უკვე გამოქვეყნებამდე ბათილია.

თუ სეპარატისტები დაიჟინებენ, ძალა მორევაზეაო, მათ უნდა შეეახსენოთ, რომ ის ძალა, რომლის მეშვეობითაც ისინი “მოერივნენ” საქართველოს, კაცმა არ იცის, ზვალ-ზეგ ვის დაუჭერს მხარს. თუ ამგვარი ცვლილება მართლაც მოხდა, მაშინ ვინ ვის მოერევა, საკითხავი აღარ იქნება. დროთა ვითარებაში მოსალოდნელია მორიგი ტრანსფორმაცია და გაგრძელება ასე — დაუსრულებლად. ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული საქართველოს რეგიონები მხოლოდ დაასუსტებენ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენს ავისმოსურნეთ გააძლიერებენ. მოვლენათა განვითარების ამგვარი სცენარი, ბოლოს და ბოლოს, მხარეებს იქამდე მიიყვანს, რომ უსათუოდ იმსხვერპლებს დაპირისპირების ინიციატორებს, მათ ლიდერებსა თუ ბელადებს, იდეოლოგებს.

სეპარატისტებს, რომელთაც ქვეყნის წინაშე ჩადენილი ამაზრზენი დანაშაულობების გამო, უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ, ვერას შეაგონებ. მაგრამ მათ, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია პასუხისმგებლობის გრძნობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის

წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამო, მეტი შორსმჭვრეტელობა და აქტიურობა მართებთ.

სამამულო ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ჯერ ფაქტობრივად არც კი დაწყებულა და ღმერთმა ნუ ქნას, იგი ოდესმე გაჩაღდეს. ქართველობა ვერასოდეს შეურიგდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვას, ისევე როგორც კავკასიის დამცრობასა და გაჩანაგებას, იმის მიუხედავად, ვინ და რა ძალა დგას ქვეყნის სათავეში.

ასიმეტრული ფედერალიზაცია საქართველოში უკვე მომხდარი ფაქტია. ამიტომაც უნიტარისტები ამოდ შლიან მარმამებს. საქმე ის არის, რომ მათი მეცადინეობით თვით ეს ასიმეტრიაც სულ უფრო სანატრელი ხდება და მისი მიღწევისათვის ჯერ კიდევ დიდი მუშაობა და იქნებ – ბრძოლაც მოგველის.

ზოგად-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რეგიონული /მაგრამ არავითარ შემთხვევაში – სეპარატისტული ან უნიტარისტული/ ინტერესების შესაბამისად უნდა წარიმართოს და არა – პირიქით. ამიტომაც მაინცდამაინც ნუ აღვშოთდებით, როდესაც პერიფერიები ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის საშინაო, ხოლო ზოგჯერ – საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში. ამგვარ ინიციატივას მხოლოდ უნდა მივესალმებოდეთ, ვინაიდან რეგიონების მონაწილეობა საერთო-სახელმწიფოებრივ პროცესში ზრდის ქვეყნის პოლიტიკურ პოტენციალს, მკვიდრ საფუძველს უქმნის საზოგადოებრივი ვითარების სტაბილიზაციას, ეროვნულ თანხმობასა და სამოქალაქო მშვიდობას.

ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში ფედერალიზმი ახირებული ინტელიგენტთა იდეოქსად ითვლებოდა. ამიტომაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი დიდად არ შფოთავდნენ. ისე, ხელის აქნევით რომ მოიშორებენ აბეზარ მწერს, თან საქმესაც არ მოსწყდებიან, ფედერალიზმის მქადაგებელსაც ამგვარად ექცეოდნენ. კომუნისტებისათვის ხომ სულ ერთი იყო, ოღონდ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ. იმავე დროს “ეროვნულ მოძრაობად” წოდებული ნაციონალ-ექსტრემიზმი თუ ვაშა-პატრიოტიზმი “ჯოს – ჯოს” ყიყინით მიიწვედა ხელისუფლების ტახტისაკენ და ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე ფიქრით თავს როგორ აიტკივებდა?! ერთნიცა და მეორენიც სულის სიღრმეში უნიტარისტები იყვნენ:

პირველად “მრგვალები” წამოეგნენ ანკესზე და ცხინვალს “მაკარაოკებით” შეუტყეს, მეორედ – წითელ-შაგები, რომლებმაც კრახის ფასად ჩააქრეს ომის ხანძარი სამხრეთ ოსეთში, რათა აფხაზეთში კიდევ უფრო გამანადგურებელი სტიქიონი დაეგუზგუზებინათ.

თუმცა, როგორც ირკვევა, ყოველივე თ. კიტოვანის ბრალი ყოფილა, რომელსაც ქუთაის-წყალტუბოში შევარდნაძე-იოსელიანმა “ვერ მიაკვლიეს” და რაღა ექნათ, ბოლოს აპყენენ თავდაცვის მინისტრს და შეურიგებელი ოპოზიციის მოსალოდნელი სამხედრო აქციების მიუხედავად, ცეცხლის აღში გახვიეს ჩრდილო-დასავლეთი საქართველო, იმის ნაცვლად, რომ კიტოვანი აელაგმათ.

როგორც უნდა იყოს, ცხინვალის კონფლიქტი და კიდევ უფრო ამაზრზენი – აფხაზეთის ტრაგედია უნიტარიზმის აღეპტათა სინდისზეა. რომ არა მარცხი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ვინ იცის, რა სოდომსა და გომორს დაატრიალებდნენ უნიტარისტები საქართველოს სხვა რეგიონებში.

იმის გამო, რომ უნიტარისტებმა არ იკადრეს მოლაპარაკება ჯერ ერთმანეთს შორის, ხოლო შემდეგ – ცხინვალისა და სოხუმის ბიუროკრატიასთან; იმის გამო, რომ არ მიმართეს სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და საშუალებებს, მათ შორის, გაეროსა და ევროკავშირის ეგიდით, და მხოლოდ პოსტ ფაქტუმ – სირცხვილ-ნაჭამნი მიმოგზაურობენ ევროპასა და მოსკოვში, სოჭში, – ანუ ამთაერებენ იმით, რითაც უნდა დაეწყოთ, – ყოველივე ამის გამო, ვიმკით დღევანდელ სამწუხარო შედეგს. ეს არის ჩვენი მარცხის ძირითადი მიზეზი, რომელსაც უნიტარისტული აზროვნება კჳეია, უკეთ ავტორიტარიზმი უნიტარიზმის ნიღბით.

კაცუნა სოსელიები კვლავაც სტალინელობენ და ამჯერად დიდი იმპერიის სანაცვლოდ პატარა, მაგრამ დიდი საქართველოს ძღვევამოსილ იმპერიაზე ოცნებობენ, თუმცა კარგა ხანია, რაც ცალი, შესაძლოა – ორივე ფეხიც სამარეში უდგათ და უფრო ცოდვების მონანიებაზე უნდა ფიქრობდნენ, ვინემ – დიქტატორის კვერთხზე, რომლის მოპოვებასაც ისინი უნიტარიზმის დამკვიდრებით იმედოვნებენ.

დედაქალაქი და პერიფერია

უნიტარისტულმა რეგიონულმა პოლიტიკამ ახალ საქართველოში ორჯერ წაიმტერია ფეხი: თავდაპირველად – სამხრეთ ოსეთში, მეორედ – აფხაზეთში.

ხელისუფლებამ კომუნისტური ტრადიციისამებრ სცადა ემართა პერიფერია – ძალისმიერად, ადმინისტრაციულად, მბრძანებლურად.

მართვის ბოლშევიკური, ფსევდოინტერნაციონალისტური სტილი შეცვალა ულტრანაციონალისტურმა, ხოლო შემდეგ – ნაციონალ-ბოლშევიკურმა მაკიაჟმა, თუმცა საქმის ვითარება ამით არ შეცვლილა.

რუსული ჯარის იმედად ძალადობას შერეული, თუმცა ამჯერად უცხოურ სამხედრო მხარდაჭერას მოკლებული ყოჩაღი კომუნისტები გადაჰყენენ 1990 წლის ოქტომბრის ხავერდოვან რევოლუციას. იგივე დაემართათ რუსეთთან სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ “თავისუფალი საქართველოს” მესვეურებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის კრიზისმა შეიწირა.

1991 – 1992 წლების ზამთრის ე.წ. სამოქალაქო /თუ საქალაქო/ ომს თითქოს წერტილი უნდა დაესვა ანარქისტული რეგიონული პოლიტიკისათვის. მართლაც, ახალმა ხელისუფლებამ შეწყვიტა ცხინვალის კონფლიქტი, მაგრამ ახალი ომი გააჩაღა აფხაზეთში, რომელიც კიდევ უფრო სასტიკი მარცხით დასრულდა.

თბილისმა თითქოს დაივიწყა, რომ ასწლეულთა განმავლობაში მხოლოდ მეტროპოლიის ადგილობრივი მართვის ორგანოს როლს ასრულებდა.

უკანასკნელი წლების სინამდვილემ დაურიღებლად მოხაზა ცენტრალისტური ხელისუფლების იურისდიქციის რეალური ფარგლები.

უნიტარისტებს თავი მაინც ყინადა უჭირავთ. მათ გულწრფელად სწამთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბედი სწორედ მათ გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული. ისინი ვითომც ვერ ამჩნევენ, რომ ხელისუფლება ველარ აკონტროლებს არა მარტო აფხაზეთსა და ცხინვალის ზონას, აგრეთვე – აჭარას, მეტიც, ამ მხრივ სერიოზული სიძნელებია შექმნილი ქვეყნის სხვა რეგიონებშიც. ცენტრალისტური ხელისუფლება დაბრკოლებებს აწყდება თვით დედაქალაქშიც. თბილისი სულ უფრო ნაკლებად ეპუება ე.წ.

“ცენტრს”, რომელიც ცდილობს ყველასა და ყველაფერზე მაღლა დადგეს. ამკარაა: თვით დედაქალაქიც უნიტარისტული მაკლავუნას კაბალურ ზეწოლას განიცდის. ხელისუფლება, რომელიც კარგა ხანია მოწყდა ხალხს, სწორედ დედაქალაქში ავლენს ყველაზე მეტად თავის უნიათო და ფარისევლურ ხასიათს.

“ცენტრი” ცდილობს საკუთარი თავი გააიგივოს დედაქალაქთან, თუმცა მასთან დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენს. იგი ბოლო დროს სულ უფრო სშირად იფარებს თბილისურ ნიღაბს, რათა პერიფერიას დაუპირისპიროს მათსავით და იქნებ უფრო მეტადაც მიმძლავრებული დედაქალაქი და ამით აიცილოს პასუხისმგებლობა, რომელიც ადრე თუ გვიან მას უსათუოდ დაეკისრება.

უნიტარისტთა სამიზნე, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლებაა, რომელსაც ათასგვარ დანაშაულში სდებენ ბრალს.

ასევეა მასაც. იგი ხელისუფლების პირამიდის მხოლოდ წვერს ხედავს. მასის უპასუხისმგებლო მზერას არ ძალუძს ჩაწვდეს საქმის არსს. თავის ახირებულ იდეებს მასა ისევე ეზიდება, როგორც არიადნას ძაფს, თუნდაც ხელთ დეტონატორის ზონარი ეპყრას. სწორედ ამგვარმა უნიტარისტულმა კედონიზმმა იმსხვერპლა ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა ცხინვალსა და აფხაზეთში, აჭარაში.

ზოგად-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ცხადია, რეგიონული ინტერესების შესაბამისად უნდა წარიმართოს და არა — პირიქით. სხვა საკითხია, რომ პერიფერიამაც ანგარიში უნდა გაუწიოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ასეთია დროის მოთხოვნა. სასურველი ბალანსი ხელისუფლების სუბიექტებს შორის ერთბაშად ვერ მიიღწევა. ახალი საქართველოს პოლიტიკური კულტურა თანდათან დაიხვეწება, თუ მეტი მოთმინებითა და ტაქტით ვიმოქმედებთ.

თბილისი დედაქალაქია და არა — მეფე-ზარბაზანი, რომლისაც შეიძლება ეშინოდეთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — უყვარდეთ და პატივს სცემდნენ.

სამწუხაროდ, თუ ასე გაგრძელდა და ხელისუფლებამ ვერ მოთოკა იმპერიიდან გამოყოლილი ამბიციები, თუ დედაქალაქი კვლავ აიძულეს იბატონოს რეგიონებზე, პერიფერიები მას უსათუოდ შეიძულებენ როგორც მოძალადეს. საამისო ტენდენციებმა უკვე 1960-იან წლებში იჩინა თავი, ხოლო 1970-იანი წლების შუახანებიდან შეუქ-

ცეკადი პროცესის ხასიათი შეიძინა.

სწორედ ამ ტალღაზე მოვიდა “მრგვალი” მოძრაობა, რომლის “გამარჯვებაც” ვასალების პირველი წარმატებული ლაშქრობა იყო სუზერენის წინააღმდეგ, რასაც ყოველმხრივ უწყობდა ხელს კიდევ უფრო აღმატებული პატრონი – იმპერია პრინციპით: დაჰყავი და იბატონე.

დღეს რეგიონთა უმრავლესობამ ცხოვრების დონით თუ არა, პერსპექტივით მაინც, ნამდვილად გაუსწრო დედაქალაქს. მათ ხელი თუ არ შეუშალეს და დედაქალაქის რჩენა არ მოთხოვეს, ცოტა სულს მოითქვამენ და თბილისი კი არა, შესაძლოა მთელი ქვეყანა წამოდგეს ფეხზე.

უნიტარიზმს მომავალი არ აქვს.

ქვეყანაში დღითიდღე მკვიდრდება ეკონომიკური ფედერალიზმი, რომლის პოლიტიკური გაფორმება მხოლოდ დროის საკითხია.

უნიტარისტს შეუძლია რამდენადმე დააბრკოლოს საქართველოს ფედერალური მოწყობა და ამით გვარიანად და ყოველად უადგილოდ შეაფერხოს ქვეყნის განვითარება, ე.ი. უფრო დიდხანს აშშ-შილოს ხალხი ფიზიოლოგიურად, მორალურად, ფსიქიურად, პოლიტიკურად. ამგვარი ძალადობა უკვე მეტისმეტად ძვირი დაუჯდა საქართველოს – მიმდინარეობს ქვეყნის ბალკანიზაცია.

ცხადია, ფედერალიზმი პანაცეა არ არის. იგი შესაძლებლობაა, რომელიც უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ.

ფედერალიზმი პიროვნების განთავისუფლებაა.

ფედერალიზმი რესპუბლიკებისა და მხარეების განთავისუფლებაა.

ფედერალიზმი თავისუფლებაა გარდაუვალი აუცილებლობის ფარგლებში.

ხელისუფლებას იმის დათმობა მართებს, რაც მისი არასოდეს ყოფილა და იმპერიულ მემკვიდრეობად შერჩენია. მან მეტი უნდა დათმოს, მეტი უნდა გასცეს, რათა მიიღოს ის, რასაც იმსახურებს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ის, რაც არ დაუმსახურებია.

ხელისუფლება სამართლიანობის უპირველესი დამცველი უნდა იყოს.

დიქტატორი ვერ იქნება სამართლიანი, ხოლო მისი მართვა-
გამგეობა – კანონიერი.

კეისარს კეისრისა!

უნიტარისტი კეისრობას ესწრაფვის, თუმცა კლასიკურ მონა-
სავით – გლადიატორივით აზროვნებს, როდესაც მზად არის ინკვიზი-
ციასა და ანათემას გადასცეს ფედერალიზმი როგორც კონცეფცია,
როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის ზოგადი პრინციპი.

1995 წლის ივნის-ივლისი.

ქ. საგარეჯო

საქართველოს

ფედერაციული რესპუბლიკის

კონსტიტუცია

მიღებულია

1995 წლის 1 მარტს

საქართველოს სახალხო პარტიის მეათე კონფერენციაზე.

განხილულია

1995 წლის 4 ივლისს

**საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო
კომისიის სხდომაზე.**

ცვლილებები შეტანილია

2004 წლის 27 მაისს

ეროვნული ინსტიტუტის გამგეობის სხდომაზე.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქენი, ვისი ურყევი ნებაა აღადგინონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობა. ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ერებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან ქართველი ერის ათასწლოვან სახელმწიფოებრივ ტრადიციებსა და საქართველოს 1921 და 1995 წლის კონსტიტუციების პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი კონსტიტუციური წყობის საფუძვლები

მუხლი 1.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის ძირითად საფუძვლებს წარმოადგენს ქართველი ერის ათასწლოვანი პოლიტიკური, სამართლებრივი და იდეოლოგიური ტრადიციები, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილება საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეესაბამება. საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები რესპუბლიკის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც უპირატესობა ენიჭება ფედერაციის კანონების წინაშე.

მუხლი 2.

ხელისუფლება და მართლმსაჯულება კანონს ეფუძნება. საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. ნებისმიერი კანონი, ბრძანებულება თუ სხვა სახელმწიფოებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ბათილად ითვლება. კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული ნორმატიული აქტები ძალაში რჩება, თუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტებოდეს საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის ან მისი მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების საზიანოდ.

მუხლი 3.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ სს ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებ-

რივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმას არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

დემოკრატია საქართველოს ფედერაციულ რესპუბლიკაში ხორციელდება სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მრავალფეროვნების, ეკონომიკური და მსოფლმშენებლობრივი პლურალიზმის საფუძველზე.

მუხლი 4.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მუშობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე.

საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღალაზავად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელობა თანამდებობა არჩევითია.

მუხლი 5.

სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ხელმწიფებას ახორციელებს არჩევნებისა და რეფერენდუმის გზით – თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების მეშვეობით კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს

ხელისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6.

ადამიანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს.

სახელმწიფო პიროვნების თავისუფალი და ღირსეული განვითარების პირობებს ქმნის.

მუხლი 7.

სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, სამეცნიერო და ტექნიკურ კვლევა-ძიებას, იცავს ხალხის ისტორიულ და შემოქმედებით მემკვიდრეობას.

მუხლი 8.

სახელმწიფო არეგულირებს ურთიერთობებს სოციალურ, ეროვნულ და სხვა ერთობებს შორის კანონის წინაშე თანაბარი პასუხისმგებლობის, მათი უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის პრინციპთა საფუძველზე.

მუხლი 9.

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკებში აგრეთვე შესაბამისად – აფხაზური და ოსური.

მუხლი 10.

სახელმწიფო ხელს უწყობს მხარეების განვითარებას, წარმოადგენს მათი უფლებების დაცვისა და განხორციელების გარანტს, ისწრაფვის შეუთანხმოს ერთმანეთს ზოგად-სახელმწიფოებრივი ინტერესები და ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნები.

მუხლი 11.

სახელმწიფო და ეკლესია სუვერენული და დამოუკიდებელია. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფ-

ლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიასა და ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ყველა რელიგიური მიმდინარეობა თანაბარია კანონის წინაშე.

აკრძალულია იმ რელიგიური ორგანიზაციების, მათი ორგანოებისა და წარმომადგენლების საქმიანობა, რომელთა მიზანსაც შეადგენს საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი კონსტიტუციური წყობილებისა და სამოქალაქო მშვიდობის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა.

მუხლი 12.

პოლიტიკური პარტიები ხელს უწყობს ხალხის სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და ნების ფორმირებას, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების პრინციპების დაცვა პარტიების მოვალეობაა.

პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიური მიზანდასახულობითა და საქმიანობით ცდილობს ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს ან შეცვალოს იგი ან საფრთხის წინაშე დააყენოს საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის არსებობა ან კიდევ: აწარმოებს ომის, ეროვნული, რასობრივი და რელიგიური შეუღლის პროპაგანდას, ანტიკონსტიტუციურია.

მუხლი 13.

უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები და თავისუფლებანი დაცულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

საქართველოს ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლია თავშესაფარი მისცეს უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც იდევნიებიან სხვა სახელმწიფოებში პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის ან ეროვნული კუთვნილების გამო, თუ მათ არ აქვთ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულობანი.

მუხლი 14.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა თავის საგარეო პოლიტიკას აფუძნებს სახელმწიფოთა თანასწორობის, საზღვრების ურღვევობის, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობის, სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებზე.

მუხლი 15.

ქართველი ხალხი აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნისა და მთლიანად კაცობრიობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე, ხელმძღვანელობს საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრების გულწრფელი სურვილით, მიიჩნევს ომს ცივილიზებულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან შეუთავსებელ მოვლენად და აცხადებს, რომ იგი სამარადჟამოდ ამბობს უარს ომზე და ომის მუქარაზე რიგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალებაზე.

მუხლი 16.

თბილისი საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქია.

მუხლი 17.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოები კანონით არის დადგენილი.

თავი მეორე ქირითადი უფლებები და თავისუფლებანი

მუხლი 18.

მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმაღლესი მიზანია. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გაატარონ აუცილებელი ზომები მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა განსახორციელებლად და დასაცავად როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე — მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირები პასუხს აგებენ იმ ქმედებათა გამო, რომლებიც არღვევს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 19.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეობა წარმოშობით, ქორწინებითა და ნატურალიზაციით მოიპოვება.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა შესაძლოა მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარეობს.

არავის შეიძლება წაერთვას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება. მოქალაქეობის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამით პირი მოქალაქეობის არმქონე არ ხდება.

ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის თაობაზე შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.

მოქალაქეობის სტატუსი და მისი მოპოვებისა თუ დაკარგვის პირობები კანონით განისაზღვრება.

მუხლი 20.

მოქალაქეთათვის ნებადართულია ის, რაც კანონით არ არის აკრძალული.

მოქალაქეებს აქვთ უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ერთნაირად იყოს დაცული მათი კანონიერი ინტერესები, უფლებები და თავისუფლებანი.

არავინ შეიძლება სარგებლობდეს პრივილეგიებით, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგება.

არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს შეასრულოს ისეთი ქმედებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს ან უარი თქვას თავის უფლებებზე.

მუხლი 21.

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ყოველი ადამიანი მოვალეა პატივი სცეს სხვა პირთა ღირსებებს, უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ადამიანის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა შელახოს სხვათა უფლებები და თავისუფლებანი.

მუხლი 22.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეინარჩუნოს თავისი ეროვნული კუთვნილება. არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს განსაზღვროს ან მიუთითოს საკუთარი ეროვნული კუთვნილება.

ეროვნული ღირსების შელახვა კანონით იკრძალება.

ეროვნულ ერთობათა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისუფლება აღიარებული და დაცულია. ყველას აქვს უფლება გამოიყენოს დედაენა, აირჩიოს ურთიერთობის ენა. აღზრდისა და სწავლების ენის თავისუფლება უზრუნველყოფილია კანონით.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინ-

ციკებისა და ნორმების შესაბამისად უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 23.

ყველა პიროვნებას აქვს თავისუფალი განვითარების უფლება მისი გონებრივი, სულიერი და ფიზიკური მონაცემების შესაბამისად. ყოველი მოქალაქე ვალდებულია საკუთარი ნებითა და შესაძლებლობების მიხედვით იღვაწოს საზოგადოების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობისათვის.

მუხლი 24.

ყოველ მოქალაქეს გარანტირებული აქვს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით.

თავიანთი უფლებების, თავისუფლებების, პატივისა და ღირსების დასაცავად მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის მიყენებული ქონებრივი ზარალისა თუ მორალური ზიანის მატერიალური კომპენსაცია.

ყოველ მოქალაქეს აქვს იურიდიული დახმარების მიღების უფლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დაცვის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს ხარჯზე. სამართლებრივი დაცვის საწინააღმდეგო მოქმედება აკრძალულია.

მუხლი 25.

სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა.

სახელმწიფო ადამიანის სიცოცხლეს ნებისმიერი საფრთხისა და ძალადობისაგან იცავს.

სიკვდილით დასჯა არ დაიშვება, საომარ მოქმედებათა დროს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი 26.

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია.

დაუშვებელია ადამიანის წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი ან კიდევ: ადამიანზე სამედიცინო ან სხვა ცდების მისი თანხმობის გარეშე ჩატარება.

ყოველგვარი ფიზიკური თუ მორალური ძალდატანება იმ პირების მიმართ, რომელთა თავისუფლება შეზღუდულია, დასჯას ექვემდებარება.

მუხლი 27.

ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

პირადი თავისუფლების შეზღუდვა ან თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

დაკავებულ პირს მისთვის გასაგებად დაუყოვნებლივ უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. დაკავებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება. მისი მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი სასამართლოს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს ორმოცდარვა საათისა. თუ მომდევნო ოცდამათხი საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვის თაობაზე, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამოცდათორმეტ საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – სამ თვეს.

დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

არავინ შეიძლება იძულებულ იქნეს მისცეს ჩვენება და განმარტებანი საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და უახლოესი ნათესავების წინააღმდეგ.

არ შეიძლება ვინმე დასჯილ იქნეს სხვაგვარად, თუ არა –

სასამართლოს წესით, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კომპენსაციის მიღების უფლება აქვს.

ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა კანონით ისჯება.

მუხლი 28.

ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

არავინაა ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება.

დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულობებს უნდა ემყარებოდეს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

მუხლი 29.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

დაცვის უფლება გარანტირებულია.

არავის შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.

კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუქმედების ძალა არ აქვს.

ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთივე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.

მუხლი 30.

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველი, რომელსაც ხუთი წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი ირჩევს.

სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინებინოს ამის თაობაზე შესაბამის ორგანოებსა და პირებს.

სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა კანონით ისჯება.

სახალხო დამცველის უფლებამოსილება კანონით არის განსაზღვრული.

მუხლი 31.

მოქალაქეებს აქვთ უფლება ჰქონდეთ ბინა. ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საბინაო ფონდების განვითარებით, ბინის შექმნაში მოქალაქეთათვის დახმარების აღმოჩენით. სახელმწიფო მოვალეა საცხოვრებელი ბინით პირველ რიგში დააკმაყოფილოს სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები.

ბინისა და მოქალაქეთა სხვა სამფლობელოების ხელშეუვალობა გარანტირებულია. არავის აქვს უფლება შევიდეს ბინასა და მოქალაქეთა სხვა სამფლობელოებში კანონიერი საფუძვლის გარეშე და მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ.

ბინისა და მოქალაქეთა სხვა სამფლობელოების დათვალიერება, გაჩხრეკა და ყადაღის დადება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან უკიდურესი აუცილებლობის დროს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით პირადი თავისუფლების დაცვისათვის დადგენილი გარანტიების შესაბამისად.

მუხლი 32.

ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად

არჩევის უფლება.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს ქვეყანაში.

ეს უფლებები შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიზღუდოს.

მუხლი 33.

ყველა, ვინც იმყოფება საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ვალდებულია დაიცვას მისი კონსტიტუცია, კანონები და პატივისცემით მოეკიდოს ადგილობრივ ტრადიციებს.

მუხლი 34.

სინდისის თავისუფლება გარანტირებულია.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავად განსაზღვროს საკუთარი დამოკიდებულება და ემსახუროს ნებისმიერ რელიგიას, აღიაროს ან არ აღიაროს არც ერთი სარწმუნოება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, ისევე როგორც ამ უფლებათა რაიმე ფორმით შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინებანი არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 35.

ყოველ ადამიანს აქვს სიტყვისა და აზრის თავისუფლება.

დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვისა და აზრის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის შესახებ.

მუხლი 36.

სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვაზე.

ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებებში სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ადამიანთა უფასო მკურნალობა გარანტირებულია. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლება ხორციელდება აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით,

გარემოს გაჯანსაღებისაკენ მიმართული ღონისძიებებით, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებით სარგებლობის შესაძლებლობით, შრომის დაცვის სრულყოფით.

პიროვნების მიმართ გადაუდებელი სანიტარული ზომების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. ამასთან ერთად, კანონს არ შეუძლია დაარღვიოს პიროვნებისადმი პატივისცემის ფარგლები.

სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

მუხლი 37.

მოქალაქეთა სოციალური დაცვა უზრუნველყოფილია.

საარსებო სახსრებს მოკლებულ ყოველ შრომისუნარო მოქალაქეს აქვს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარდაჭერისა და საარსებო მინიმუმის, აგრეთვე დახმარების მიღების უფლება. უბედურების, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევებში ან მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო უმუშევრად ყოფნის დროს მოქალაქეებს უფლება აქვთ თავიანთი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილნი იყვნენ მატერიალური საშუალებებით.

სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს იმ პირთა მიმართ, რომელთაც დაკარგეს ჯანმრთელობა საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის დროს.

სახელმწიფო ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მამულიძეილთა ხსოვნის უკვდავყოფისა და მათი ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 38.

მოქალაქეებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ხელსაყრელი გარემო და აუნაზღაურდეთ ამ უფლების დარღვევით მიყენებული ზიანი.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ისარგებლოს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.

ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. გარემოს დაცვა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

სახელმწიფო გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას უზრუნველყოფს.

მუხლი 39.

სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

საქართველოს ყოველი მოქალაქე მოვალეა ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე.

კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო კანონით იცავს.

მუხლი 40.

ყველას აქვს განათლების უფლება.

სასკოლო საქმე იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ.

სახელმწიფო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია მოქალაქეთა უფასო საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

კერძო სასწავლებლების გახსნა გარანტირებულია კანონით.

სახელმწიფო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და აკადემიებს ენიჭება ავტონომიური ორგანიზაციისა და თვითმმართველობის უფლება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

მუხლი 41.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების

აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გამოცემა არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს ინტელექტუალურ მემკვიდრეობას და სხვა კულტურულ ფასეულობებს. ინტელექტუალური საკუთრება დაცულია კანონით.

მუხლი 42.

შრომა თავისუფალია.

ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება აწარმოოს შრომითი საქმიანობა თავისი განათლებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. ყოველ მოქალაქეს აქვს შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი, ოჯახის თავისუფალი და ღირსეული არსებობისათვის საკმარისი ანაზღაურების უფლება.

ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებები აქვთ შრომით ურთიერთობებში, თანაბარი შრომისათვის ისინი თანაბარ გასამრჯელოს იღებენ.

სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია შრომის ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა ინტერესების დაცვას, ქალის მიერ ოჯახში თავისი ფუნქციების შესრულებას.

სპეციალური ნორმატიული აქტებით სახელმწიფო იცავს არასრულწლოვანთა შრომას. გარანტირებულია არასრულწლოვანთა შრომის თანაბარი ანაზღაურების უფლება სრულწლოვანთა შრომის შესაბამისად.

კანონი ადგენს სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და დაქირავებული მუშაკების მინიმალურ ასაკს.

სახელმწიფო მოვალეა ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლური საქმიანობა, კანონით დაშვებული შემთხვევების გარდა.

შრომის სოციალური და ეკონომიკური ასპექტების სრულყოფის მიზნითა და წარმოების მოთხოვნათა გათვალისწინებით, კანონი დადგენილი წესითა და ფარგლებში სახელმწიფო ცნობს მოქალაქეთა უფლებას მონაწილეობდნენ საწარმო-დაწესებულებათა მართვაში.

სახელმწიფო ვალდებულია უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს დაეხმაროს სამუშაოს მოძიებაში, ხოლო უმუშევრობის პერიოდში უზრუნველყოს იგი საარსებო მინიმუმით.

უმუშევრობის სტატუსი და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის მინიმუმი კანონით განისაზღვრება.

საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს საზღვარგარეთ.

მუხლი 43.

გაფიცვის უფლება აღიარებულია.

გაფიცვის უფლების განხორციელების წესი და პირობები, აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დაწესებულებების საქმიანობის წესი კანონით განისაზღვრება.

მუხლი 44.

მოქალაქეებს, იმ პირების გარდა, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში, უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად და უიარაღოდ წინასწარი თანხმობისა და განაცხადის გარეშე.

მუხლი 45.

სიტყვის, ბეჭდვისა და ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია.

ცენზურა არ არსებობს.

ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი შეხედულებანი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით, შეუფერხებლად მიიღოს ინფორმაცია საყოველთად მისაწვდომი წყაროებიდან.

დაუშვებელია ინფორმაციის ან მათი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია სახელმწიფოს, იურიდიულ ან ფიზიკურ პირთა მიერ.

ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის ადგილის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის თავისუფლება, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელევიზიო კავშირი ხელშეუვალია. შეზღუდვები შეიძლება მხოლოდ კანონით დაწესდეს.

მუხლი 46.

მოქალაქეს აქვს უფლება კანონით გათვალისწინებული წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან სხვა მოქალაქეთა პირად საიდუმლოებას.

ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 47.

ყველა მოქალაქეს აქვს ერთნაირი უფლება დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა საკუთარი მიდრეკილებების, უნარებისა და პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად.

სახელმწიფო სამსახურის პირობები, სახელმწიფო მოსამსახურის სტატუსი კანონით განისაზღვრება.

თუ სახელმწიფო მოხელე დაარღვევს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, პასუხისმგებლობას ამის გამო იღებს სახელმწიფო და სახელმწიფო ორგანო, სადაც მსახურობს აღნიშნული პირი. განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მოქალაქეებს უნარჩუნდებთ მიყენებული ზარალის გამო სარჩელის აღძვრის უფლება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 48.

ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება სახელმწიფოებრივ საჭიროებათა გამო წერილობითი თხოვნით ან საჩივრით მიმართოს წარმომადგენლობით ორგანოებსა და სხვა კომპეტენტურ დაწესებულებებს.

მუხლი 49.

ოჯახი საზოგადოების საფუძველია. იგი იქმნება ურთიერთან-

ხმობით და არსებობს მეუღლეთა ურთიერთთანადგომისა და თანაბარუფლებიანობის საფუძველზე. ოჯახთან დაკავშირებული ნებისმიერი ნორმატიული აქტი თუ პროგრამა უნდა იქმნებოდეს პირადი ღირსებისა და სქესთა თანასწორობის პრინციპთა გათვალისწინებით, აიოლებდეს ოჯახის შექმნას, ხელს უწყობდეს მისი სიმტკიცის შენარჩუნებასა და კეთილდღეობის ზრდას.

სახელმწიფო ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსურად და მატერიალურად შეუწყოს ხელი ოჯახის შექმნას, განსაკუთრებული მზრუნველობით მოეკიდოს მრავალშვილიან დედებს.

ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა მშობლების ბუნებრივი უფლება და უპირატესი მოვალეობაა, რომელთა განხორციელებასაც ყოველმხრივ უწყობს ხელს საზოგადოება.

ბავშვები მხოლოდ კანონის ძალით შეიძლება ჩამოშორებულ იქნენ თავიანთი ოჯახიდან იმ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, რომლებიც უფლებამოსილნი და პასუხისმგებელნი არიან მათ აღზრდაზე, თუ აღნიშნული პირები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ან თუ ბავშვებს სხვა მიზეზთა გამო ემუქრებათ მეთვალყურეობის გარეშე დარჩენის საფრთხე. სახელმწიფო განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართავს იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანის ოჯახურ გარემოში იქმნება ბავშვის ზნეობრივი გაზრუნის ან მისი სიცოცხლის ხელყოფის საშიშროება.

ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დისკრიმინაცია დაუშვებელია.

ბავშვი არ შეიძლება დაექვემდებაროს მკაცრ მოპყრობასა და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, ჩაბმულ იქნეს ისეთ საქმიანობაში, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, გონებრივ ან ზნეობრივ განვითარებას.

მუხლი 50.

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას დედის უფლებები, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს დედობის დასაცავად ორსულობისა და ბავშვის აღზრდის პერიოდში, ფინანსურად და მატერიალურად წაახალისოს ქალი ბავშვის გაჩენის გამო, შეიმუშაოს და

განახორციელოს პროგრამები მარტოხელა დედათა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 51.

მოქალაქეებს აქვთ საზოგადოებრივ გაერთიანებათა, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. ამ უფლების შეზღუდვის ყოველი მცდელობა კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება.

საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნის წესი და პირობები კანონით განისაზღვრება.

მუხლი 52.

პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათი საქმიანობის თავისუფლება უზრუნველყოფილია.

კანონის ფარგლებში სახელმწიფო ხელს უწყობს პარტიებს მათი საქმიანობის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. პარტიებისათვის სავალდებულოა მათი სახსრების წყაროების შესახებ დეკლარაციის გამოქვეყნება.

პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური პარტიის წევრობას.

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

პოლიტიკურ პარტიათა შექმნისა და საქმიანობის პირობები კანონით განისაზღვრება.

მუხლი 53.

საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. მათი შეზღუდვა დასაშვებია საზოგადოებრივი აუცილებლობისას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სახელმწიფო იცავს საკუთრებისა და მოქალაქეთა საქმიანობის ყველა ფორმას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, უზრუნავს მოქალაქეთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის

ამაღლებისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – მოქალაქეთა პროფესიული ორიენტაციისა და გადაშვადებისათვის.

მუხლი 54.

მიწა, ბუნებრივი რესურსები და წარმოების საშუალებები კანონის შესაბამისად კერძო საკუთრებად შეიძლება იქცეს.

მიწის რაციონალური გამოყენებისა და სამართლიანი სოციალურ ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის წვრილ და საშუალო კერძო საკუთრებას, რომლის ფარგლები განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო ზონების თავისებურებათა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით.

მუხლი 55.

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი შეღავათებს ადგენს.

მუხლი 56.

სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეთა დანაზოგების დაბანდებას საბინაო ფონდებში, სოფლის მეურნეობასა და მსხვილ სამრეწველო საწარმოებში სააქციონერო ინვესტიციების მეშვეობით.

მუხლი 57.

ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება უზრუნველყოფილია.

თერამპეტი წლის ასაკს მიღწეული ყოველი მოქალაქე სარგებლობს აქტიური საარჩევნო უფლებით, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, იმ პირობის გარდა, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან ქმედუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

რეფერენდუმისა და არჩევნების წესს კანონი ადგენს.

მუხლი 58.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის დაცვა მოქალაქეთა წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

პროფესიული სამხედრო სამსახურის წესსა და პირობებს კანონი ადგენს.

მუხლი 59.

კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა განხორციელება შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია არაუგვიანეს ორმოცდარვა საათისა შესაბამისი გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. საქართველოს რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს დაუშვებელია კონსტიტუციის 22-ე, 24-ე, 34-ე, 52-ე, 58-ე და 59-ე მუხლების მოქმედებათა შეჩერება.

მუხლი 60.

სახელმწიფო არ უგულებელყოფს ადამიანისა და მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამოძღინარეობს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპებიდან.

თავი მესამე პარლამენტი

მუხლი 61.

ხელმწიფება ეკუთვნის ხალხს.

პარლამენტი ხალხის ხელმწიფებას კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს.

პარლამენტი არის საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი მუდმივმოქმედი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციის ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 62.

პარლამენტი უფლებამოსილია:

ა. მიიღოს კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებანი, განახორციელოს კანონების შესრულების კონტროლი, განმარტოს კონსტიტუცია და კანონები.

ბ. განსაზღვროს ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტის წესი.

გ. განსაზღვროს საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

დ. მოახდინოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და დენონსირება.

ე. შექმნას ფედერალური საარჩევნო და სარეფერენდუმი კომისია, დანიშნოს საერთო-სახალხო რეფერენდუმი, პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგი არჩევნები.

ვ. პრეზიდენტის წარდგინებით აირჩიოს მთავრობის კაბინეტის პრემიერ-მინისტრი, დაამტკიცოს მთავრობის კაბინეტის შემადგენლობა.

ზ. პრეზიდენტის წარდგინებით აირჩიოს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს, საკონტროლო პალატისა და ეროვნული ბანკის თავმჯდომარეები, დაამტკიცოს ამ ორგანოთა შემადგენლობა.

თ. შეიმუშაოს სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურა,

აირჩიოს /დაამტკიცოს/ მოსამართლეები.

ი. დაამტკიცოს ფედერალური ბიუჯეტი, განსაზღვროს ფედერალური და რესპუბლიკური, სამხარეო ბიუჯეტების ურთიერთ-მიმართებისა და ურთიერთქმედების წესი, დააწესოს ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები, განახორციელოს საემისიო პოლიტიკის კონტროლი.

კ. დადოს ზავი და გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა უცხოური აგრესიის შემთხვევაში.

ლ. დააწესოს სახელმწიფო ჯილდოები, წოდებები, რანგები, ჩინები...

მ. კანონმდებლობის მოთხოვნათა სისტემატური და უხეში დარღვევის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება რესპუბლიკის, მხარის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნის შესახებ და დანიშნოს ახალი არჩევნები.

ნ. დასვას საკითხი უმაღლესი სასამართლოს წინაშე პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კაბინეტის წევრების განკარგულებათა კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე, აღძრას და გადაწყვიტოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო კონტროლი.

ო. მიიღოს გადაწყვეტილებანი საქართველოს საჭიროებისათვის კრედიტების აღების, აგრეთვე მათი გაცემის თაობაზე, არეგულიროს ეკონომიკური ურთიერთობანი როგორც ფედერაციის სუბიექტებთან, ისე — უცხოეთის სახელმწიფოებთან.

პ. დაადგინოს ნატურალიზაციის ერთნაირი წესი და მიიღოს ერთგვაროვანი კანონები გაკოტრების შესახებ საქართველოს ყველა მხარისათვის.

ჟ. ჩამოაყალიბოს ქვეყნის თავდაცვითი სისტემა.

რ. ხელი შეუწყოს ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რისთვისაც გარკვეული ვადით მიანიჭოს ავტორებსა და გამომგონებლებს განსაკუთრებული უფლებები თავიანთ ნაშრომებსა და აღმოჩენებზე.

ს. გამოაცხადოს ამნისტია.

მუხლი 63.

პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან: სახალხო კრებისა / ქვედა პალატა/ და სენატისაგან /ზედა პალატა/.

მუხლი 64.

სახალხო კრება შედგება საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული ასი დეპუტატისაგან.

სახალხო კრება ოთხი წლის ვადით აირჩევა.

სახალხო კრების წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ოცდახუთი წელი და სარგებლობს საარჩევნო უფლებით.

სახალხო კრების კომპეტენციას განეკუთვნება რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის განსაკუთრებული უფლება.

თუ სახალხო კრება მიიღებს უნდობლობის რეზოლუციას ან არ მოიწონებს მთავრობის პროგრამას ან ზოგად-პოლიტიკურ დეკლარაციას, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცეს თხოვნა-განცხადება მთავრობის კაბინეტის გადადგომის შესახებ.

მუხლი 65.

სენატი შედგება რესპუბლიკების, მხარეების მოქალაქეთა მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული ორმოცდაათი წევრისაგან.

სენატის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ოცდათხუთმეტი წელი, ცხოვრობს მოცემულ მხარეში და სარგებლობს საარჩევნო უფლებით.

სენატის მეშვეობით მხარეები მონაწილეობენ საკანონმდებლო საქმიანობასა და ფედერაციის მართვაში.

სენატი ექვსი წლის ვადით აირჩევა. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს სენატის შემადგენლობის ერთი მესამედის როტაცია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სენატის კომპეტენციას განეკუთვნება რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტის განსაკუთრებული უფლება.

სენატში ცალკეულ მხარეთა წარმომადგენლობის კვოტებს კანონი ადგენს.

მუხლი 66.

რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის აღძვრისა და გადაწყვეტის წესი და პირობები კანონით განისაზღვრება.

მუხლი 67.

პალატების წევრთა არჩევნები ტარდება პალატების უფლებამოსილებათა უკანასკნელ შემოდგომაზე, ხოლო სახალხო კრების დათხოვნის შემთხვევაში – დათხოვნიდან სამოცი დღის განმავლობაში.

პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პალატების რიგგარეშე არჩევნებს, რომელიც უნდა ჩატარდეს პარლამენტის დათხოვნიდან არაუადრეს ორმოცდახუთი და არაუგვიანეს სამოცი დღისა.

თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ჩატარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს სამოცი დღისა.

დაუშვებელია სახალხო კრების დათხოვნა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პერიოდში და არჩევნების შემდგომი ერთი წლის განმავლობაში.

• პარლამენტის წევრთა არჩევის წესი კანონით განისაზღვრება.

მუხლი 68.

სახალხო კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ ორმოცდაათი ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის, ხოლო სენატის არჩევნებში – პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია ათასი ხელმოწერით მაინც ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი.

მუხლი 69.

პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლი-

ტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების სამ პროცენტს მაინც.

მუხლი 70.

პალატები იკრიბება არჩევნების შემდეგ არაუგვიანეს ოცდაათი დღისა, ყველა შემთხვევაში – წინა მოწვევის პალატების უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ.

მუხლი 71.

პარლამენტის წევრი თავისუფალი მანდატით სარგებლობს და მისი გაწვევა დაუშვებელია.

განსაკუთრებულ შემთხვევებში პარლამენტის წევრს შეიძლება ჩამოერთვას მხარის ან პარტიის წარმომადგენლის უფლებამოსილება, თუ მხარის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები ან პოლიტიკური პარტია არ იზარებენ პარლამენტის წევრის მიერ გატარებულ კურსს.

პარლამენტის წევრის არჩევნების პირობები და მისი სტატუსი, მისთვის მხარის ან პარტიის წარმომადგენლის უფლებამოსილების ჩამორთმევის წესი კანონით განისაზღვრება.

მუხლი 72.

პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, სახელდობრ:

ა. პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

ბ. პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას.

გ. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

დ. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 73.

არჩევნების კანონიერების შემოწმება პალატების კომპეტენციაა. პალატები წყვეტენ პარლამენტის წევრობის ჩამორთმევის საკითხს,

რისთვისაც აუცილებელია სათანადო რეზოლუციის მიღება დამსწრე წევრთა ხმების არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.

პარლამენტის გადაწყვეტილებები შეიძლება უმაღლეს სასამართლოში გასაჩივრდეს.

მუხლი 74.

პალატას შეუძლია მუშაობას შეუდგეს იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება მისი წევრების საერთო რიცხვის ერთი მესამედი მანძი.

ყოველი პალატა იღებს თავის სამუშაო რეგლამენტს, ირჩევს თავმჯდომარეებსა და სხვა თანამდებობის პირებს, ადგენს სხდომების წარმართვის საკუთარ წესებს, პროცედურებსა და დისციპლინას, შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების ზომა თავისი წევრების მიმართ დისციპლინის დარღვევის გამო.

მუხლი 75.

კონსტიტუციაში მითითებული შემთხვევების გარდა, თითოეულ პალატაში ყველა საკითხი დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით წყდება.

მუხლი 76.

პალატების სხდომები ღიაა. წევრთა ერთი მეთოდის ან მთავრობის კაბინეტის მოთხოვნითა და დამსწრეთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით სხდომები შეიძლება დახურულად გამოცხადდეს.

მუხლი 77.

თითოეული პალატა სხდომების ოქმებს აწარმოებს. ოქმები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უნდა ქვეყნდებოდეს, საიდუმლოდ მიჩნეული სხდომების გარდა. დამსწრე წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს სახელობითი კენჭისყრა, რომლის შედეგებიც სხდომის ოქმში აღინიშნება.

მუხლი 78.

პალატას შეუძლია მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების, სამუშაო ჯგუფების შექმნა.

მუხლი 79.

პალატას უფლება აქვს, ხოლო თავისი წევრების ერთი მეოთხედის წინადადებით ვალდებულია აირჩიოს საგამოძიებო კომისია. რომელიც ღია სხდომებზე კრებს საჭირო მონაცემებს. კომისიას შეუძლია მოითხოვოს მოწმეთა გამოცხადება და ჩვენებები, აგრეთვე ოქმების წარდგენა. ასეთი სხდომები დახურულადაც შეიძლება გამოცხადდეს.

სამართალდამცავი ორგანოები მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს საგამოძიებო კომისიას. საგამოძიებო კომისიის დადგენილება სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება.

მუხლი 80.

კანონპროექტი, კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა, კანონად იქცევა სახალხო კრების დამსწრე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით მისი ხელმეორედ მიღების შემდეგ. სახალხო კრებას ეს ხელს არ უშლის კანონის შესაბამისად მოითხოვოს პალატების ერთობლივი სხდომის მოწვევა.

თუ სენატი არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სახალხო კრებისაგან მოწონებული კანონპროექტის გამო მისი მიღების შემდეგ შეიდი დღის განმავლობაში, სახალხო კრებას შეუძლია განიხილოს ეს როგორც სენატისაგან კანონპროექტის უარყოფა.

მუხლი 81.

კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ თავდაპირველად სახალხო კრებას წარედგინება. სენატს შეუძლია დაეთანხმოს სახალხო კრებას ან შეიტანოს მასში შესწორებები. სენატის შესწორებებით კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ სახალხო კრებას უბრუნდება. შესწორებები სრულად აისახება სახალხო კრების დაეთარში, ხოლო კანონპროექტს სახალხო კრება განმეორებით განიხილავს. თუ განმეორებითი განხილვის შემდეგ პროექტი მიღებულ იქნება სახალხო კრების დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით, იგი ისევ გადაეცემა სენატს, რომელიც მას ასევე განმეორებით განიხილავს. თუ სენატი მოიწონებს პროექტს, მაშინ იგი კანონის სახეს მიიღებს.

თუ სენატმა ბიუჯეტის თაობაზე არ მიიღო გადაწყვეტილება და თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული პალატების ერთობლივ სხდომაზე

ან თუ სენატმა არ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ოცდაათი დღის განმავლობაში სახალხო კრების მიერ ბიუჯეტის კანონპროექტის მიღების შემდეგ სახალხო კრების გადაწყვეტილება ითვლება პარლამენტის გადაწყვეტილებად. ეს წესი პარლამენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის დროსაც გამოიყენება.

მუხლი 82.

პალატასა და კომისიას შეუძლია მოითხოვოს თავის სხდომებზე მთავრობის კაბინეტის ნებისმიერი წევრის დასწრება. მთავრობის კაბინეტის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ პალატების სხდომებს კანონპროექტების წარდგენის მიზნით. ისინი მოვალენი არიან დაესწრონ პალატების სხდომებს, თუ მათი დასწრება აუცილებელია პასუხებისა და განმარტებების მისაღებად. პალატები და კომისიები ვალდებული არიან ნებისმიერ შემთხვევაში მოუსმინონ მთავრობის კაბინეტის წევრებს.

მუხლი 83.

ორივე პალატის წევრთაგან პარლამენტი კანონის შესაბამისად ქმნის სასამართლოს იმპიჩმენტის წესით იმ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხების განსახილველად, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია საქმე მათი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

მუხლი 84.

პარლამენტის წევრი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

პარლამენტის წევრი არ შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლო ან ადმინისტრაციულ დევნას ან სხვაგვარად მიცემულ იქნეს პასუხისგებაში პარლამენტის ფარგლებს მიღმა პარლამენტში ან მის ერთ-ერთ კომისიაში გამოთქმული შეხედულებების ან კენჭისყრის გამო. ეს წესი ბათილია ცილისწამების შემთხვევაში.

პარლამენტის წევრი შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ან დაპატიმრებულ იქნეს დასჯადი ქმედების გამო მხოლოდ შესაბამისი პალატის თანხმობით, დანაშაულის ადგილზე დაკავების შემთხვევის გარდა. ასევე აუცილებელია შესაბამისი პალატის თანხმობა პარლამენტის წევრის პირადი თავისუფლების ყოველგვარი სხვა შეზღუდვისათვის.

მუხლი 85.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ პირების შესახებ, რომელთაც მას როგორც დეპუტატს გაანდეს რომელიღაც ფაქტები ან რომელთაც მან როგორც დეპუტატმა გაანდო ფაქტები ან კიდევ: მონაცემები თვით ამ ფაქტების შესახებ. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 86.

სახალხო კრების თავმჯდომარე არის პარლამენტის შენობის გამგებელი და აქ ფლობს საპოლიციო ძალაუფლებას. მისი ნებართვის გარეშე პარლამენტის შენობაში არ შეიძლება დაპატიმრების ან ჩხრეკის ჩატარება.

მუხლი 87.

პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე სექტემბრის თვის პირველ სამშაბათს.

მუხლი 88.

პალატა რიგგარეშე სხდომაზე იკრიბება წინასწარგანსაზღვრული დღის წესრიგით, თუ ამას მოითხოვენ პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი, რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. თუ რიგგარეშე სხდომაზე იკრიბება ერთ-ერთი პალატა, თავისი უფლებით იკრიბება მეორეც. რიგგარეშე სესია იხურება დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ. მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს აქვთ უფლება მოითხოონ ახალი რიგგარეშე სესიის მოწვევა წინა რიგგარეშე სესიის დახურვიდან ერთი თვის ამოწურვამდე. რიგგარეშე სესიის ხანგრძლივობა თორმეტ დღეს არ უნდა აღმატებოდეს. რიგგარეშე სესია იხსნება და იხურება საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით.

მუხლი 89.

პალატების ერთობლივ სხდომას უძღვება სახალხო კრების თავმჯდომარე.

მუხლი 90.

არავის შეუძლია იყოს ერთდროულად ორივე პალატის წევრი.

მუხლი 91.

პალატას შეუძლია კვორუმის გარეშე გადაიტანოს თავისი სხდომები მომდევნო დღისათვის. სესიის დროს არც ერთ პალატას არ შეუძლია გადაიტანოს თავისი სხდომა მეორე პალატის თანხმობის გარეშე სამ დღეზე მეტი ვადით ან დანიშნოს სხვაგან, იმ ადგილის გარდა, სადაც პალატების ერთობლივი სხდომა ტარდება.

მუხლი 92.

პარლამენტის წევრის სტატუსი სხვა თანამდებობასთან შეუთავსებელია.

მუხლი 93.

სახალხო კრების ათი და მეტი წევრი შეიძლება საპარლამენტო ფრაქციაში გაერთიანდეს. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი პალატის რეგლამენტით განისაზღვრება.

სენატში ფრაქციის შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 94.

პარლამენტის წევრს აქვს უფლება შეკითხვით მიმართოს სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს და მისგან ამომწურავი პასუხი მიიღოს პალატების სხდომაზე.

მუხლი 95.

პალატები სხდომებს ცალ-ცალკე ატარებენ. პალატების გაერთიანებული სხდომა პალატების მიერ ერთობლივად მიღებული რეგლამენტით იმართება.

მუხლი 96.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება იწვევს ორივე პალატის საკუთარი უფლებით შეკრებას რიგგარეშე ერთობლივ სხდომაზე ოცდათხუთი საათის განმავლობაში და სახალხო კრების მუშაობის

გაგრძელებას ამ მდგომარეობის დამთავრებამდე პარლამენტის გადაწყვეტილება საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და ზავის საკითხებზე მიიღება პალატების ერთობლივ სხდომაზე პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობით.

სააღყო მდგომარეობის თაობაზე დეკრეტს მთავრობის კაბინეტი გამოსცემს.

სააღყო მდგომარეობის ორ კვირაზე მეტი ვადით გაგრძელების უფლებას პარლამენტი იძლევა.

მუხლი 97.

მთავრობის კაბინეტმა თავისი პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება პარლამენტს თხოვოს შეზღუდულ ვადებში დეკრეტის მიღების გზით განახორციელოს იმგვარი ღონისძიებანი, რომელთა რეგულირება ჩვეულებრივ კანონით ხდება. მთავრობის მიერ მიღებული დეკრეტი ძალაში შედის სახალხო კრების გადაწყვეტილებით, მაგრამ ძალას კარგავს, თუ კანონი მისი დამტკიცების შესახებ არ იქნება შეტანილი პარლამენტში იმ ვადებში, რომლებიც განსაზღვრულია კანონით.

მთავრობის კაბინეტის მოთხოვნით პარლამენტში შეტანილი კანონ-პროექტები და საკანონმდებლო წინადადებანი განსახილველად გადაეცემა ამ მიზნით საგანგებოდ შექმნილ კომისიებს. პროექტები და წინადადებანი განსახილველად გადაეცემა ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ კომისიებს. პროექტები ან წინადადებანი, რომელთა მიმართ ასეთი მოთხოვნა არ იყო წამოყენებული, განსახილველად ერთ-ერთ კომისიას გადაეცემა.

მუხლი 98.

პარლამენტისა და მთავრობის კაბინეტის წევრები სარგებლობენ შესწორების უფლებით. კამათის დამთავრების შემდეგ მთავრობის კაბინეტს შეუძლია გამოვიდეს ნებისმიერი შესწორების განხილვის წინააღმდეგ, თუ იგი წინასწარ არ იყო შეტანილი შესაბამის კომიტეტში.

მთავრობის კაბინეტის მოთხოვნით პალატამ უნდა ჩაატაროს მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის კენჭისყრა იმ შესწორებებით,

რომლებიც შეტანილია ან მოწონებულია მთავრობის კაბინეტისაგან. ყველა კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება განიხილება თანამიმდევრულად, რათა მიღებულ იქნეს იდენტიფიცირებული ტექსტი.

თუ პალატებს შორის წარმოიქმნა უთანხმოება და კანონპროექტი არ არის მიღებული პალატებში მეორე მოსმენის შემდეგ ან თუ პირველი მოსმენის შემდეგ მთავრობის კაბინეტმა იგი გადაუდებლად გამოაცხადა, პრემიერ-მინისტრს აქვს უფლება სადავო საკითხებზე ახალი ტექსტის შესამუშაებლად მოიწვიოს შერეული პარიტეტული კომისია. შერეული კომისიის ტექსტი მთავრობის კაბინეტმა შეიძლება პალატებს წარუდგინოს. ამ ტექსტში არ შეიძლება ისეთი შესწორებების შეტანა, რომელსაც მთავრობის კაბინეტი არ დაეთანხმება.

თუ შერეული კომისია ვერ შეძლებს ერთიანი ტექსტის მიღებას ან თუ ეს ტექსტი არ იქნება მიღებული წინა აბზაცით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სახალხო კრებასა და სენატში პროექტის ახალი მოსმენით განხილვის შემდეგ მთავრობის კაბინეტმა შეიძლება მოითხოვოს, რომ სახალხო კრებამ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში სახალხო კრებას შეუძლია დაუბრუნდეს საკუთარ ან შერეული კომისიის ტექსტს, რომელშიც სენატის მიერ შეტანილია ერთი ან რამდენიმე შესწორება.

მუხლი 99.

პალატების სხდომის დღის წესრიგში მთავრობის კაბინეტის მიერ შეტანილი კანონპროექტების ან მოწონებული საკანონმდებლო წინადადებების განხილვა წარმოებს იმ რიგითობის მიხედვით, რომელიც მთავრობის კაბინეტისაგან არის დადგენილი.

მუხლი 100.

მთავრობის კაბინეტში განხილვის შემდეგ პრემიერ-მინისტრი სახალხო კრებას წარუდგენს მთავრობის პროგრამას ან ზოგადპოლიტიკურ დეკლარაციას, რომლის მოწონებასთან დაკავშირებით სვამს მთავრობის კაბინეტისადმი ნდობის საკითხს.

მუხლი 101.

მთავრობის კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების მიზნით სახალხო კრებაში უნდა ჩატარდეს შესაბამისი რეზოლუციის კენჭისყრა. რეზოლუციას წარადგენს სახალხო კრების წევრთა, სულ მცირე, ერთი მეთედი, ხოლო ხმის მიცემა იმართება პალატაში რეზოლუციის შეტანიდან ორმოცდარვა საათის შემდეგ. დაითვლება მხოლოდ რეზოლუციის მომხრეთა ხმები. რეზოლუცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სახალხო კრების წევრთა სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობამ. თუ რეზოლუცია არ იქნება მიღებული, მაშინ იმ პირებს, რომელთაც ხელი მოაწერეს რეზოლუციას, არ შეუძლიათ შეიტანონ ასეთივე რეზოლუცია იმავე სესიაზე, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც მომდევნო აბზაცით არის გათვალისწინებული.

მთავრობის კაბინეტში მოთათბირების შემდეგ პრემიერ-მინისტრს შეუძლია დააყენოს მთავრობის კაბინეტისადმი ნდობის საკითხი რომელიმე კონკრეტულ პროექტზე კენჭისყრასთან დაკავშირებით. პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მომდევნო ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ იქნება მიღებული უნდობლობის რეზოლუცია.

მუხლი 102.

პრემიერ-მინისტრს აქვს უფლება თხოვოს სენატს მთავრობის ზოგად-პოლიტიკური დეკლარაციის მოწონება.

თუ სახალხო კრება მიიღებს უნდობლობის რეზოლუციას ან არ მიიწონებს მთავრობის პროგრამას ან ზოგად-პოლიტიკურ დეკლარაციას, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია გადასცეს რესპუბლიკის პრეზიდენტს თხოვნა-განცხადება მთავრობის კაბინეტის გადადგომის შესახებ.

მუხლი 103.

მთავრობის კაბინეტსა და შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს შორის უთანხმოების შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით საკითხს წყვეტს უმაღლესი სასამართლო შვიდი დღის ვადაში.

მუხლი 104.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ:

ა. ათი ათას ამომრჩეველს.

- ბ. სამხარეო საბჭოებს.
- გ. მთავრობის კაბინეტს.
- დ. პარლამენტის წევრებს.

მუხლი 105.

პარლამენტი ვალდებულია რეფერენდუმზე გამოიტანოს ახალმღებელი კანონი, თუ ამას მოითხოვს ორმოცდაათი ათასი ამომრჩეველი.

მუხლი 106.

კანონი ქვეყნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმაღლესი სასამართლო დაადასტურებს მის კონსტიტუციურობას.

თავი მეოთხე რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 107.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფალი დემოკრატიული კონსტიტუციური წყობილების, სახელმწიფოს ფუნქციონირების, კანონმდებლობის, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დაცვის გარანტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, წარმოადგენს ქვეყანას საშინაო და საგარეო ურთიერთობებში.

მუხლი 108.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ორმოცი წლის ასაკს მიღწეული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე. პრეზიდენტობის კანდიდატი არჩევნების დღისათვის საქართველოში უნდა ცხოვრობდეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს პოლიტიკურ პარტიას ან საინიციატივო ჯგუფს, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია ოცდახუთი ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით.

რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა უმრავლესობამ, იმ პირობით, რომ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩევლთა საერთო რაოდენობის, სულ მცირე, ერთი მესამედი.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების თარიღს სახალხო კრება აცხადებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები კანონით განისაზღვრება.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს რესპუბლიკის

პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება.

პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები კონსტიტუციითა და კანონით განისაზღვრება.

მუხლი 109.

თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი დებს ფიცს ან იძლევა საზეიმო აღთქმას:

“მე – საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულებ საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას, დავიცავ საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ერთიანობას, ვიზრუნებ საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევა მოსილებისათვის”.

რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიული მისი არჩევიდან მესამე კვირის სამშაბათს იმართება.

მუხლი 110.

რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენების, გადადგომის, გარდაცვალების ან უფლებამოსილებათა განხორციელების უნარობის შემთხვევაში მისი ფუნქციები სახალხო კრების თავმჯდომარეს გადაეცემა. თუ პოსტი ვაკანტური აღმოჩნდება და პრეზიდენტის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების დაბრკოლებებს უმაღლესი სასამართლო დაუძლეველად გამოაცხადებს, ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ვაკანსიის გახსნიდან არაუადრეს ოცი და არაუგვიანეს ოცდათხუთმეტი დღისა ან დაბრკოლების დაუძლეველად გამოცხადებიდან არაუადრეს ოცდაათი და არაუგვიანეს ორმოცდახუთი დღისა.

მუხლი 111.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი სხვა თანამდებობასთან შეუთავსებელია.

მუხლი 112.

კანონი ადგენს პრეზიდენტის ხელფასსა და სხვა ასიგნებათა

წესს, რომელთა ოდენობა არ შეიძლება შეიცვალოს იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც იგი არის არჩეული. პრეზიდენტს არ შეუძლია მიიღოს სხვა რაიმე შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკისაგან ან მისი რომელიმე მხარისაგან. პრეზიდენტის, აგრეთვე მისი აპარატის შენახვის ხარჯები განისაზღვრება კანონით ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 113.

რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია:

ა. დანიშნოს მთავრობის პრემიერ-მინისტრი, შეწყვიტოს მისი უფლებამოსილებანი პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის გადადგომის შესახებ თხოვნა-განცხადების შეტანის საფუძველზე.

ბ. დანიშნოს პარლამენტის პირველი სხდომა.

გ. წერილობით მიმართოს პალატებს, რომელიც წაიკითხება პარლამენტში პრეზიდენტის სახელით.

დ. მისცეს სანქცია მთავრობის კაბინეტის პროექტებს პარლამენტისათვის წარსადგენად.

ე. მოაწეროს ხელი კანონებს სამოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ისინი მთავრობას გადაეცემა.

ვ. პარლამენტის სესიის დროს მთავრობის კაბინეტის ან პალატების ერთობლივი წინადადებით, რომელიც ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმზე გაიტანოს კანონპროექტები, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას ან ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე.

ზ. გამოაცხადოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, როდესაც პარლამენტს არ აქვს ამის შესაძლებლობა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ამტკიცებს პარლამენტი.

თ. დანიშნოს სახელმწიფო თანამდებობის პირები ან კანონის შესაბამისად სხვას გადასცეს მისი სახელით თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლება.

ი. გამოსცეს დადგენილებები და კანონის ძალის მქონე განკარგულებები, ხელი მოაწეროს მთავრობის კაბინეტში განხილულ დადგენილებებსა და ბრძანებულებებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტებს, კონსტიტუციის 106-ე და 113-ე /პუნქტები: ა, გ, ვ, მ, ნ/ მუხლებით გათვალისწინებულთა გარდა, პრეზიდენტთან ერთად ხელს აწერს მთავრობის კაბინეტის პრემიერ-მინისტრი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – პასუხისმგებელი მინისტრიც.

კ. შეიტანოს ცვლილებები სასამართლოს განაჩენში: გამოიყენოს შეწყალების უფლება ან ეს უფლება გადასცეს ხელისუფლების სხვა ორგანოებს.

ლ. მიანიჭოს წარჩინების ნიშნები.

მ. დაითხოვოს სახალხო კრება პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებთან კონსულტაციების შემდეგ.

ნ. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის უშიშროებას ან მის საერთაშორისო ავტორიტეტს დაემუქრება სერიოზული და უშუალო საფრთხე, მთავრობის კაბინეტის პრემიერ-მინისტრთან, პალატების თავმჯდომარეებთან და უმაღლეს სასამართლოსთან ოფიციალური კონსულტაციების შემდეგ განახორციელოს შექმნილი მდგომარეობით ნაკარნახევი ღონისძიებანი, რომელთაც უმოკლეს ვადაში უნდა მოჰყვეს სასურველი შედეგი და ამის შესახებ წერილობით აუწყოს მთელ მოსახლეობას.

ო. პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმარ-თველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

პ. აწარმოოს მოლაპარაკებები უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებანი, სენატის თანხმობით დანიშნოს და გაათავისუფლოს ელჩები და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლები, პალატების წინასწარი ნებართვით რატიფიკაცია გაუკეთოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებს ფედერაციის პოლიტიკურ ურთიერთობებს ან ეხება ფედერალურ კანონმდებლობას, მოითხოვს პარლამენტის მხარდაჭერასა და მოწონებას სათანადო დადგენილების ფორმით.

ჟ. აკრედიტება გაუკეთოს უცხოეთის ელჩებსა და საგანგებო

დესპანებს.

რ. განახორციელოს კონსტიტუციით მინიჭებული სხვა უფლებები და მოვალეობანი.

მუხლი 114.

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თავმჯდომარეობს კანონის თანახმად შექმნილ უშიშროების საბჭოს.

მუხლი 115.

რესპუბლიკის პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ მაინც მოახსენებს პალატების ერთობლივ სხდომას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 116.

რესპუბლიკის პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

მუხლი 117.

კონსტიტუციისა და კანონის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის ან სახელმწიფოს ღალატისათვის კონსტიტუციის 64-ე / მესამე აბზაცის/ და 65-ე /მეხუთე აბზაცი/ მუხლების შესაბამისად და კანონით დადგენილი წესით პარლამენტს შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

თავი მესამე მთავრობის კაბინეტი

მუხლი 118.

მთავრობის კაბინეტი ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას. იგი კონსტიტუციის თანახმად ანგარიშგაუკლებელია პარლამენტის წინაშე.

მუხლი 119.

მთავრობის კაბინეტი მხარს უჭერს და ერთმანეთს უხამებს მინისტრთა საქმიანობას. მინისტრები კოლექტიურად არიან პასუხისმგებელი მთავრობის კაბინეტის საქმიანობაზე, ხოლო პიროვნულად — თავიანთი უწყებების საქმიანობაზე.

მინისტრთა კაბინეტი შედგება პრემიერ-მინისტრისაგან და მინისტრებისაგან.

მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 120.

მთავრობის კაბინეტი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა, პასუხისმგებელია სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე. სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურა, ორგანოები და დაწესებულებანი მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით იქმნება. მთავრობის კაბინეტს არ აქვს უფლება რომელიმე აღმასრულებელ ორგანოს ჩამოართვას და თვითონ დაიქვემდებაროს კონსტიტუციითა და კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი ან მიიღოს გადაწყვეტილებანი საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც ამ სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციაა.

აკრძალულია სამხედრო ძალების, უშიშროებისა და პოლიციის ურთიერთშერწყმა.

მუხლი 121.

მთავრობის კაბინეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. იგი კოორდინაციას უწევს მთავრობის კაბინეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, პასუხს აგებს ქვეყნის თავდაცვის

გამო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნიშნავს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს, უზრუნველყოფს კანონების შესრულებას, ახორციელებს კონსტიტუციითა და მთავრობის კაბინეტის რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. პრემიერ-მინისტრს შეუძლია ზოგიერთი თავისი უფლებამოსილება მინისტრებს გადასცეს. პრემიერ-მინისტრის დავალებით მთავრობის კაბინეტის აქტებს ხელს აწერენ მინისტრები, რომელთაც ეკისრებათ მათი შესრულება.

რესპუბლიკის პრეზიდენტის დავალებით განსაკუთრებულ შემთხვევებში პრემიერ-მინისტრს შეუძლია თავმჯდომარეობა გასწიოს მთავრობის კაბინეტის სხდომაზე, რომლის დღის წესრიგი წინასწარ არის განსაზღვრული.

მუხლი 122.

მთავრობის კაბინეტის წევრად შეიძლება დაინიშნოს საარჩევნო უფლების მქონე სამოქალაქო პირი. მთავრობის კაბინეტის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან.

თანამდებობის დაკავებამდე პრემიერ-მინისტრი და მინისტრები პრეზიდენტის წინაშე დებენ ფიცს ან იძლევიან საზეიმო აღთქმას.

მუხლი 123.

სახალხო კრების უფლებამოსილების ცნობიდან ხუთი დღის განმავლობაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და ავალებს მას მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებას. პრემიერ-მინისტრის დანიშნიდან შეიძლება დღის განმავლობაში პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წინადადებით. მთავრობის კაბინეტის სრულ შემადგენლობას პრემიერ-მინისტრი წარუდგენს სახალხო კრებას, რომელმაც სამი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს და კენჭი უყაროს მთავრობის კაბინეტის დამტკიცებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა მეორდება.

თუ მთავრობის კაბინეტი კვლავ არ დამტკიცდა, მომდევნო შეიძლება დღის განმავლობაში სახალხო კრება თვითონ ირჩევს პრემიერ-მინისტრს და ავალებს მას მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებას.

პრემიერ-მინისტრის წარსადგენად აუცილებელია, სულ მცირე, ოცდახუთი დეპუტატის ინიციატივა. პრემიერ-მინისტრი არჩევიდან შვიდი დღის ვადაში სახალხო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის კაბინეტის სრულ შემადგენლობას, რომელსაც კენჭი ეყრება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს მესამე დღისა.

თუ სახალხო კრებამ ვერ აირჩია პრემიერ-მინისტრი ან აირჩია, მაგრამ მთავრობის კაბინეტი ვერ დაამტკიცა, რესპუბლიკის პრეზიდენტი მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში დაითხოვს სახალხო კრებას და ნიშნავს ვადამდელ არჩევნებს.

მუხლი 124.

მთავრობის კაბინეტი გადამდგარად ითვლება, თუ მას პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა ან გამოუცხადა უნდობლობა.

პრემიერ-მინისტრის გადადგომა, გარდაცვალება ან მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობა იწვევს მთავრობის კაბინეტის გადადგომას, რის თაობაზეც პრემიერ-მინისტრი ან რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუიყოვნებლივ აცნობებენ სახალხო კრებას.

მუხლი 125.

რესპუბლიკის პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს მთავრობის კაბინეტის შემადგენლობაში. თუ ცვლილებათა შედეგად განახლდა კაბინეტის შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტი, პრემიერ-მინისტრი შვიდი დღის ვადაში სახალხო კრების წინაშე სვამს საკითხს მთავრობის კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადების თაობაზე მის პროგრამასთან ან ზოგად-პოლიტიკურ დეკლარაციასთან დაკავშირებით. კენჭისყრა ტარდება არაუადრეს სამი და არაუგვიანეს ათი დღისა.

თუ მთავრობის კაბინეტს არ გამოუცხადა ნდობა და ამ გადაწყვეტილების მიღებიდან თოთხმეტი დღის განმავლობაში კრებამ ვერ შექმნა მთავრობის კაბინეტი, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია რესპუბლიკის პრეზიდენტს მოთხოვოს სახალხო კრების დათხოვნა. რესპუბლიკის პრეზიდენტი მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში ვალდებულია დაითხოვოს სახალხო კრება და დანიშნოს ქვედა პალატის ვადამდელი არჩევნები.

მუხლი 126.

კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი მოვალეობების შესასრულებლად მთავრობის კაბინეტი გამოსცემს დადგენილებას. მთავრობის კაბინეტის წევრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ განკარგულებებს.

მუხლი 127.

მოვალეობების შესრულებისას ჩადენილი დანაშაულისათვის მთავრობის კაბინეტის წევრები პასუხისგებაში მიეცემიან პალატების ერთობლივი სხდომის გადაწყვეტილებით.

თავი მეექვსე სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 128.

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება უმაღლესი სასამართლოს, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სასამართლოების მეშვეობით.

უმაღლესი სასამართლო მოქმედებს როგორც საკონსტიტუციო და საკასაციო სასამართლო.

მუხლი 129.

უმაღლესი სასამართლო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა. კონსტიტუციისა და კანონების განმარტებათა გამო.

ბ. პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის კაბინეტის დადგენილებებისა და სხვა ნორმატიული აქტების კონსტიტუციისა და კანონებთან შესაბამისობის თაობაზე.

გ. ფედერაციასა და რესპუბლიკებს, მხარეებს, აგრეთვე ცალკეულ მხარეებს შორის ან ერთი მხარის ფარგლებში დაუების გამო, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით.

დ. კონსტიტუციურობის შესახებ აღძრული სარჩელის გამო ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც მიიჩნევს თავს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დაზარალებულად.

ე. თვალყურს ადევნებს პრეზიდენტის არჩევნების სისწორეს.

ვ. წყვეტს საკითხს დეკუტატებისა და სენატორების არჩევის მართებულობის შესახებ, როცა იგი სადავოა.

ზ. თვალყურს ადევნებს რეფერენდუმის ჩატარების სისწორეს და აცხადებს მათ შედეგებს.

თ. განიხილავს პროტესტებს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს.

ი. ასრულებს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 130.

კანონი — გამოქვეყნებამდე, ხოლო პარლამენტის პალატების საპროცედურო წესები მათ მიღებამდე უნდა წარედგინოს უმაღლეს

სასამართლოს, რომელიც გამოთქვამს თავის მოსაზრებას მათი კონსტიტუციურობის შესახებ. ამავე მიზნით უნდა გადასცენ უმაღლეს სასამართლოს კანონები მათ გამოქვეყნებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, სახალხო კრების თავმჯდომარემ, სენატის თავმჯდომარემ, ოცდახუთმა დეპუტატმა და ოცდახუთმა სენატორმა. აღნიშნულ შემთხვევებში უმაღლესმა სასამართლომ თავისი აზრი უნდა გამოთქვას ერთი თვის ვადაში, მაგრამ აუცილებლობისას მთავრობის კაბინეტის მოთხოვნით ეს ვადა შეიძლება დღემდე მცირდება. კანონის გადაცემა უმაღლესი სასამართლოსათვის იწვევს მათი გამოქვეყნების თარიღის გადაადგებას. არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონები არ შეიძლება გამოქვეყნდეს ან შევიდეს ძალაში.

მუხლი 131.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ისინი სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოსათვის.

მუხლი 132.

უმაღლესი სასამართლოს შექმნისა და ფუნქციონირების წესსა და პროცედურას, კერძოდ, მისთვის პროტესტების გადაცემის ვადებს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი 133.

უმაღლესი სასამართლო შედგება თორმეტი წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება ცხრა წლის განმავლობაში და განახლებას არ ექვემდებარება. აღნიშნულ წევრთა გარდა, უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში მუდმივ წევრთა უფლებით შედიან რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები.

უმაღლესი სასამართლოს ოთხ-ოთხ წევრს ირჩევს სახალხო კრება, სენატი და უმაღლესი სასამართლო. უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობას ამტკიცებს პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე. ამ შემადგენლობიდან პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელსაც ირჩევს პალატების ერთობლივი სხდომა. თავმჯდომარის ხმა ითვლება

გადამწყვეტად უმაღლესი სასამართლოს წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.

უმაღლესი სასამართლოს წევრის ფუნქციები სხვა თანამდებობასთან შეუთავსებელია.

მუხლი 134.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნდება და ამის შესახებ ოფიციალურად ეუწყება პალატებს იმისათვის, რათა თუ ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, მიმართონ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ზომებს.

მუხლი 135.

შეიარაღებულ ძალთათვის შეიძლება დაარსდეს სამხედრო-დისციპლინარული სასამართლო.

მუხლი 136.

მართლმსაჯულების აღსრულება ხდება საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის სახელით.

მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის წესსა და პირობებს კანონი ადგენს.

მუხლი 137.

სასამართლო ფუნქციას ახორციელებენ მოსამართლეები, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში და ემორჩილებიან მხოლოდ კანონსა და საკუთარ სინდისს.

მუხლი 138.

მოსამართლეები უვადოდ ირჩევიან. ყველა მოსამართლეს, კონსტიტუციის 133-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, ნიშნავს პარლამენტი უმაღლესი სასამართლოს წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 139.

მოსამართლეების საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა არ შეიძ-

ლება შემცირდეს მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.
კანონი იცავს მოსამართლეთა უფლებებს.

მუხლი 140.

სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. კანონის დარღვევით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და პირადი თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიებების გასაჩივრება შეიძლება უმაღლეს სასამართლოში.

უმაღლეს სასამართლოში საჩივრების შეტანის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 141.

საქმეების განხილვა სასამართლოებში და გადაწყვეტილების გამოცხადება წარმოებს ღია სხდომებზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით.

თავი მეხუთე ფინანსური ურთიერობანი

მუხლი 142.

სახელმწიფოს ფინანსური სახსრების განკარგვა მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიძლება.

მუხლი 143.

მთავრობის კაბინეტი ადგენს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველი საფინანსო წლის ბიუჯეტს.

მთავრობის კაბინეტმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახსენოს პარლამენტს სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

საბოლოო ანგარიშები სახელმწიფოს ხარჯებისა და შემოსავლების თაობაზე ექვემდებარება ყოველწლიურ რევიზიას საკონტროლო პალატის მიერ და პარლამენტს წარედგინება.

მუხლი 144.

ახალი გადასახადების შემოღება ან არსებულის შეცვლა /გაუქმება/ წარმოებს მხოლოდ კანონის ან კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენცია ფინანსურ მონოპოლიებსა და საბაჟო საქმეებში.

რესპუბლიკას, მხარეს აქვს საკანონმდებლო უფლებები ადგილობრივი გადასახადებისა და ხარჯების სფეროებში, სანამ და რამდენადაც ისინი არ ემთხვევა ფედერალური კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

ფედერალური კანონები გადასახადების თაობაზე, რომელთა შემოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ ირიცხება მხარეების ან მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სასარგებლოდ, სენატის თანხმობას საჭიროებს. ფედერაცია აღჭურვილია საკონკურენტო კომპეტენციის უფლებით იმ სფეროებში, რომლებიც ეხება სხვა გადასახადებს, თუ ამ გადასახადების შემოსავალი მას ეკუთვნის მთლიანად ან ნაწილობრივ, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მხარეს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი

ხარჯების დასაფარავად უნარჩუნდება ფედერალური გადასახადების ნაწილი. გარკვეულ ამოცანათა გადასაწყვეტად, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მთიანეთის ან ზოგიერთი სხვა რეგიონის განვითარებისათვის ფედერაცია გარკვეულ რესპუბლიკას, მხარეს სპეციალურ სახსრებს გამოუყოფს.

რესპუბლიკის, მხარის განკარგულებაშია ადგილობრივი გადასახადები.

რესპუბლიკას, მხარეს არ შეუძლია დააწესოს ბაჟი შემოზიდვებზე, გატანასა და რესპუბლიკებს, მხარეებს შორის ტრანზიტზე.

ფედერაციისა და რესპუბლიკების, მხარეების ფინანსური ურთიერთობის წესი და პირობები კანონით განისაზღვრება.

მუხლი 145.

მიმდინარე შემოსავლების ფარგლებში ფედერაციასა და რესპუბლიკებს, მხარეებს გააჩნია თავიანთი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ხარჯების დაფარვის თანაბარი უფლებები.

ფედერაციისა და რესპუბლიკების, მხარეების ხარჯების დაფარვის მოთხოვნები უნდა რეგულირდებოდეს იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს სამართლიანი კომპრომისი გადასახადების გადაშლელზე მეტისმეტი დატვირთვის თავიდან ასაცილებლად და ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ცხოვრების ერთნაირი დონის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 146.

ფედერაცია და რესპუბლიკები, მხარეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია თავიანთ საბიუჯეტო მეურნეობებთან ურთიერთობაში.

თავი მერაჲ ფედერაცია - რესპუბლიკები და მხარეები

მუხლი 147.

საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

ფედერაციის სახელმწიფოებრივი მოწყობა ეფუძნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვითმმართველობის პრინციპებს. ფედერაცია იყოფა რესპუბლიკებად და მხარეებად, რომელთა ფარგლებს განსაზღვრავს კანონი.

პოლიტიკური თვითმმართველობის უფლებები ადგილობრივ საქმეებში ენიჭება რესპუბლიკებსა და მხარეებს, სახელდობრ: აფხაზეთის რესპუბლიკას, აჭარა-გურიის გაერთიანებულ მხარეს /აჭარის რესპუბლიკა, ოზურგეთის ოლქი/, თბილისის ფედერალურ მხარეს /დიდუბის ოლქი, მთაწმინდის ოლქი/, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებულ მხარეს /სამტრედიის ოლქი, ონის ოლქი, ქუთაისის ოლქი/, კახეთის მხარეს /თელავის ოლქი, სიღნაღის ოლქი/, სამეგრელო-სვანეთის გაერთიანებულ მხარეს /ზუგდიდის ოლქი, მესტიის ოლქი, ფოთის ოლქი/, სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკას, ქართლის მხარეს /ახალციხის ოლქი, გორის ოლქი, მცხეთის ოლქი, რუსთავის ოლქი/.

პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვითმმართველობის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

ფედერაციისა და რესპუბლიკების, მხარეების ურთიერთდამოკიდებულებას, მათ განსაკუთრებულ სტატუსს ფედერაციის შემადგენლობაში, აგრეთვე რესპუბლიკებისა და მხარეების, მათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების /ოლქი, ქალაქი, თემთა ასოციაცია.../ შექმნის, ურთიერთობის წესსა და პირობებს, ადმინისტრაციული ორგანოების /რესპუბლიკის, მხარის უმაღლესი საბჭო, მინისტრთა კაბინეტი; ოლქის საკრებულო და გამგეობა; ქალაქის საკრებულო და მერია; თემთა ასოციაციის საკრებულო და გამგეობა/ მოწყობას კანონი განსაზღვრავს. ამ ურთიერთშესაბამისობის დადგენა, უზრუნველყოფა და დაცვა ფედერაციის კომპეტენციაა.

მუხლი 148.

ფედერაციის სუბიექტებს /რესპუბლიკებსა და მხარეებს/ კონ-

სტიტუციის ფარგლებში თავიანთი ძირითადი კანონის შექმნაების უფლება ენიჭება, რომელიც პარლამენტის მიერ განხილვასა და დამტკიცებას ექვემდებარება.

მუხლი 149.

რესპუბლიკებისა და მხარეების თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო /უმაღლესი საბჭო, საკრებულო/ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს რესპუბლიკებისა და მხარეების საკანონმდებლო და განმკარგულებელ ხელისუფლებას, კონსტიტუციითა და კანონებით მისთვის მინიჭებულ სხვა ფუნქციებს, სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით.

მუხლი 150.

რესპუბლიკებისა და მხარეების თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული კანონი გადაეცემა უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც ოცდაათი დღის განმავლობაში ვიზა უნდა დაადოს მას, თუ რესპუბლიკების, მხარეების კანონი შეესაბამება კონსტიტუციას და არ არის საწინააღმდეგო აზრი სენატის მხრიდან. თუ უმაღლესი სასამართლო მიიჩნევს, რომ რესპუბლიკების, მხარეების კანონი სცილდება რესპუბლიკების, მხარის კომპეტენციას, ეწინააღმდეგება ფედერაციის ან სხვა რესპუბლიკის, მხარის ინტერესებს, იგი ზემოთ აღნიშნულ ვადაში აბრუნებს კანონს რესპუბლიკის, მხარის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოში.

თუ რესპუბლიკის, მხარის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო კვლავ მიიღებს იმავე კანონს წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, მაშინ უმაღლეს სასამართლოს შეუძლია თოთხმეტი დღის განმავლობაში გადასცეს კანონი განსახილველად სენატს, რომელმაც ასევე თოთხმეტი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს საკითხი და სათანადო გადაწყვეტილების პროექტით დაუბრუნოს კანონი უმაღლეს სასამართლოს. უმაღლესი სასამართლო შვიდი დღის განმავლობაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის გამოქვეყნების ან მისი გაუქმების შესახებ. განსაკუთრებულ შემთხვევაში უმაღლეს სასამართლოს შეუძლია მისცეს წინადადება სენატსა და დაინტერესებულ რესპუბლიკას, მხარეს პარიტეტულ

საწყისებზე შემთანხმებული კომისიის შექმნის თაობაზე, რომელმაც შვიდი დღის განმავლობაში უნდა მოამზადოს გადაწყვეტილების პროექტი და გადასცეს იგი უმაღლეს სასამართლოს, რომელიც შვიდი დღის ვადაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. შემთანხმებულ კომისიაში რესპუბლიკის, მხარის წარმომადგენლობა, რესპუბლიკიდან, მხარიდან არჩეული სენატორების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომისიის შემადგენლობის ნახევარს.

რესპუბლიკისა და მხარეების კანონის გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 151.

არავის შეუძლია იყოს ერთდროულად რესპუბლიკის, მხარის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოსა და პარლამენტის ან სხვა რეგიონული თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს წევრი.

მუხლი 152.

რესპუბლიკის, მხარის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო ირჩევს თავმჯდომარეს, სხვა თანამდებობის პირებსა და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობას.

თავმჯდომარე აქვეყნებს რესპუბლიკის, მხარის კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, ფედერალური კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად უზრუნველყოფს ფედერაციის მიერ რესპუბლიკის, მხარისათვის დელეგირებული ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 153.

რესპუბლიკებს, მხარეებსა და მათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს უფლება აქვს კანონის ფარგლებში საკუთარი პასუხისმგებლობით თავად წარმართოს ადგილობრივი საქმეები.

მუხლი 154.

სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებათა განხორციელება რესპუბლიკების, მხარეების კომპეტენციას განეკუთვნება, რამდენადაც კონსტიტუციით არ არის დადგენილი სხვა წესი.

მუხლი 155.

ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის საგარეო ურთიერთობანი, თავდაცვა, ფულადი სისტემა, ერთობლივი საფინანსო-ეკონომიკური სტრატეგიული რესურსების გამოყენების პოლიტიკა. ამას გარდა, ფედერაციის კომპეტენციას განეკუთვნება, თუ არ არსებობს სხვა განსაკუთრებული შეთანხმება, მართლმსაჯულების ორგანოების, უმაღლესი განათლების, საგარეო და ერთობლივი გადაზიდვებისა და კავშირგაბმულობის კონტროლი.

იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმების დადების წინ, თუ ის შეეხება რომელიმე რესპუბლიკის ან მხარის განსაკუთრებულ მდგომარეობას, ამ რესპუბლიკის, მხარის თვალსაზრისი მოსმენილ უნდა იქნეს.

იმდენად, რამდენადაც რესპუბლიკა, მხარე ფლობს საკანონმდებლო კომპეტენციას, მას შეუძლია ფედერალური მთავრობის თანხმობით დადოს ხელშეკრულებანი უცხოეთის სახელმწიფოებთან.

განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება განისაზღვროს ფედერაციისა და რესპუბლიკების, მხარეების საერთო კომპეტენციები ან კანონით დადგინდეს ფედერაციის უფლებათა ნებისმიერი დელეგირება მისი ერთ-ერთი სუბიექტისათვის.

მუხლი 156.

ფედერაციას შეაქვს თავისი წვლილი რესპუბლიკების, მხარეების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზოგიერთი ამოცანის გადაწყვეტაში, თუ ამგვარი თანამშრომლობა აუცილებელია რესპუბლიკის, მხარის მოსახლეობის განათლებისა და კეთილდღეობის ასამაღლებლად, რესპუბლიკის, მხარის ეკონომიკური და აგრარული სტრუქტურების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებისა და სანაპირო ზონების დასაცავად.

მუხლი 157.

ფედერაციისა და რესპუბლიკების, მხარეების ერთობლივი მოქმედება შესაძლოა წარიმართოს კონვენციების საფუძველზე კულტურისა და სამეცნიერო გამოკვლევების სფეროებში.

მუხლი 158.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად რესპუბლიკას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა რესპუბლიკის, მხარის პოლიციის ძალების, ადმინისტრაციული ორგანოების პირადი შემადგენლობის ან სამსახურების, აგრეთვე ფედერალური შინაგანი და სასაზღვრო ჯარების, შეიარაღებული ძალების დახმარება.

მუხლი 159.

თუ სტიქიური უბედურება ემუქრება ორ ან მეტ რესპუბლიკასა თუ მხარეს, ფედერალურ მთავრობას შეუძლია იმ ზომით, რაც აუცილებელია ეფექტიანი მოქმედებისათვის, მიმართოს რესპუბლიკების, მხარეების მთავრობებს, რათა გადასცეს მათ განკარგულებაში თავისი საპოლიციო ფორმირებანი, გაგზავნოს შინაგანი ჯარების ან შეიარაღებული ძალების შენაერთები პოლიციისათვის მხარდასაჭერად. აღნიშნული ღონისძიებანი გაუქმებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, თუ ამას მოითხოვს სენატი, აგრეთვე მაშინვე, როგორც კი საფრთხე თავიდან იქნება აცილებული.

მუხლი 160.

თუ რესპუბლიკა ან მხარე არ ასრულებს ან აბრკოლებს კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას, ფედერალურ მთავრობას სენატის თანხმობით შეუძლია გაატაროს აუცილებელი ზომები, რათა აიძულოს რესპუბლიკა თუ მხარე შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

ფედერალურ მთავრობას ან მის წარმომადგენლებს აქვთ უფლება მისცენ მითითებანი რესპუბლიკას, მხარესა და მის დაწესებულებებს იძულების ფედერალური ზომების გასატარებლად. ფედერალური მთავრობის წარმომადგენლები რესპუბლიკებში, მხარეებში ახორციელებენ ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, პასუხს აგებენ სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და კანონების დაცვის გამო.

მუხლი 161.

ფედერალურ კონსტიტუციურ კანონს რესპუბლიკის, მხარის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოების აზრის გათვალისწინებით

შეუძლია დაუშვას არსებული რესპუბლიკების, მხარეების გაერთიანება ან ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შექმნა.

სამხარეო თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოების აზრის გათვალისწინებით, რეფერენდუმისა და ფედერალური კანონის მეშვეობით შეიძლება ნება დაერთოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს მათი სურვილისამებრ გამოვიდნენ ერთი რესპუბლიკის, მხარის შემადგენლობიდან და შევიდნენ მეორეში.

მუხლი 162.

ფედერალური კანონით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ინიციატივის საფუძველზე შესაბამის რესპუბლიკურ, მხარის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოსთან კონსულტაციების შემდეგ შესაძლებელია ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შექმნა ან მათი საზღვრების შეცვლას ერთი და იმავე რესპუბლიკის, მხარის ფარგლებში.

რესპუბლიკას, მხარეს შეუძლია მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გამოსცეს კანონი, რომელიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში შექმნის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ან შეცვლის მათ დასახელებებსა და საზღვრებს.

მუხლი 163.

პარლამენტს უფლება აქვს მიიღოს ახალი რესპუბლიკა, მხარე ფედერაციაში, მაგრამ არ შეუძლია უკვე არსებული რესპუბლიკის, მხარის იურისდიქციის ფარგლებში შექმნას ახალი რესპუბლიკა, მხარე.

მუხლი 164.

სპეციალური კანონი, რომელიც გამოიყენება ერთი რესპუბლიკის, მხარის მიმართ, კანონის შესაბამისად პარლამენტის მიერ შეიძლება გამოიცეს, მაგრამ იგი ძალაში შედის მოცემული რესპუბლიკის, მხარის ამომრჩეველთა თანხმობით.

მუხლი 165.

ფედერაციისა და რესპუბლიკების, მხარეების ყველა დაწესებულება ვალდებულია აღმოუჩინოს ერთმანეთს იურიდიული და სამსახურებრივი დახმარება.

მუხლი 166.

ფედერალური კონსტიტუციის ძალაში შესულიდან ხუთი წლის განმავლობაში ფედერაცია შეუსაბამებს თავის კანონებს რესპუბლიკების, მხარეების მოთხოვნებსა და საკანონმდებლო ხელისუფლების იმ მოცულობას, რომლითაც აღჭურვილია რესპუბლიკები, მხარეები.

თავი მეცხრე კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 167.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვთ პარლამენტის წევრებსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის წინადადებით, აგრეთვე ასი ათას ამომრჩეველს.

მუხლი 168.

კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის წევრთა სიითი რაოდენობის, სულ მცირე, ორმა მესამედმა, რის შემდეგაც პარლამენტის გადაწყვეტილება საერთოსახალხო რეფერენდუმს წარედგინება.

მუხლი 169.

პარლამენტის გადაწყვეტილება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 170.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმა არ შეიძლება კონსტიტუციის გადასინჯვის საგნად იქცეს.

КОНСТИТУЦИЯ ФЕДЕРАТИВНОЙ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИИ

Глава первая.

ОСНОВЫ КОНСТИТУЦИОННОГО СТРОЯ.

Глава вторая.

ОСНОВНЫЕ ПРАВА И СВОБОДЫ.

Глава третья.

ПАРЛАМЕНТ.

Глава четвертая.

ПРЕЗИДЕНТ РЕСПУБЛИКИ.

Глава пятая.

КАБИНЕТ ПРАВИТЕЛЬСТВА.

Глава шестая.

СУДЕБНАЯ ВЛАСТЬ.

Глава седьмая.

ФИНАНСОВЫЕ ВЗАЙМООТНОШЕНИЯ.

Глава восьмая.

ФЕДЕРАЦИЯ И РЕСПУБЛИКИ, КРАЯ.

Глава девятая.

ПЕРЕОСМОТР КОНСТИТУЦИЙ.

ГЛАВА ВОСЬМАЯ.
ФЕДЕРАЦИЯ И РЕСПУБЛИКИ, КРАЯ.

Статья 147.

Государственное устройство Федеративной Республики Грузия должно соответствовать основным принципам Конституции. Государственное устройство Федерации основано на принципах политического и административного самоуправления. Федерация делится на республики и края, пределы которых определяются законом. Права политического самоуправления в местных делах предоставляются республикам и краям, в частности:

АДЖАРА-ГУРИЙСКОМУ ОБЪЕДИНЕННОМУ КРАЮ (Аджарская Республика, Озургетская область);

АБХАЗСКОЙ РЕСПУБЛИКЕ;

ИМЕРЕТИЙСКОМУ И РАЧА-ЛЕЧХУМСКОМУ ОБЪЕДИНЕННОМУ КРАЮ (Онская область, Зестафонская область, Кутаисская область, Самтредская область);

КАРТЛИЙСКОМУ КРАЮ (Ахалцихская область, Горийская область, Мцхетская область, Руставская область);

КАХЕТИЙСКОМУ КРАЮ (Тславская область, Сигнахская область);

САМЕГРЕЛО-СВАНЕТСКОМУ ОБЪЕДИНЕННОМУ КРАЮ (Зугдидская область, Местийская область, Потийская область);

ТБИЛИССКОМУ ФЕДЕРАЛЬНОМУ КРАЮ (Лидубийская область, Мтацминдская область);

ЮГО-ОСЕТИНСКОЙ РЕСПУБЛИКЕ.

Порядок и условия политического и административного самоуправления определяются законом.

Взаимоотношения между Федерацией и республиками, краями, их особый статус в составе Федерации, а также порядок и условия создания, взаимоотношения республик и краев, их административно-территориальных образований (областей, городов, ассоциаций общин...), устройство административных органов (Республиканский, Красной Верховный Совет, Кабинет министров; областное собрание;

городское собрание и мэрия; собрание ассоциаций общин) определяет закон. Определение, обеспечение и защита этих взаимосот-ветствий является компетенцией Федерации.

Статья 148.

Субъекту (республика, край) Федерации в пределах Конституции присваивается право разработки своего основного закона, который подлежит рассмотрению и утверждению парламентом.

Статья 149.

Высший орган (Верховный Совет, Собрание) самоуправления республик, краев в пределах своей компетенций осуществляет республиканскую, краевую законодательную и распорядительную власть, другие функции, присвоенные ему Конституцией и законами. пользуется правом законодательной инициативы.

Статья 150.

Закон принятый высшим органом республиканского, краевого управления передается Верховному суду, который в течение 30 дней должен вынудить его, если республиканский, краевой Закон соответствует Конституции и нег противоречий со стороны сената. Если Верховный суд посчитает, что республиканскийб краевой Закон выходит за пределы компетенции республики, края противоречит интересам Федерации или других республик, краев суд в вышеупомянутом сроке возвращает закон в высший орган республиканского, краевого самоуправления.

Если высший орган республиканского, краевого самоуправления снова примет тот же закон абсолютным большинством голосов, тогда Верховный суд может в течение 14 дней передать закон для рассмотрения в сенат, который также в течение 14 дней должен рассмотреть закон и надлежащим проектом ршения вернуть закон Верховному суду. Верховный суд в течение 7 дней принимает окончательное ршение об обнаружении или упразднении Закона. В особых случаях Верховный суд может обратиться с предложением к сенату и занн-

тересованной стороне о создании согласительной комиссии на паритетных началах, которая в течение 7 дней должна подготовить проект решения и передать его Верховному суду, который в течение 7 дней примет окончательное решение. Представительство республики, края в согласительной комиссии, включая сенаторов, избранных из республики, края, не должно превышать половину состава комиссии.

Порядок и условия обнародования и ввода в силу республиканского, краевого Закона определяется законом.

Статья 151.

Никто не может одновременно быть членом высшего органа республиканского, краевого самоуправления и парламента или членом высшего органа другого регионального самоуправления.

Статья 152.

Высший орган республиканского, краевого самоуправления избирает председателя, других должностных лиц и состав местного исполнительного органа.

Председатель обнародует законы и другие нормативные акты республики, края, в соответствии с федеральной Конституцией и законами обеспечивает осуществление функций, делегированных Федерацией республике, краю.

Статья 153.

Республики, края и их административно-территориальные единицы имеют право в пределах Закона под собственной ответственностью самостоятельно управлять местными делами.

Статья 154.

Осуществленные государственных правомочий относятся к компетенции республик, краев, если Конституцией не установлен другой порядок.

Статья 155.

Особой компетенцией Федераций являются внешние отношения, самооборона, денежная система, политика использования совместных финансово-экономических и стратегических ресурсов. Кроме этого, к компетенции Федерации относятся, если не существует другого особого соглашения, контроль над органами правосудия, высшего образования, внешних и совместных перевозок и связь.

Перед подписанием тех договоров и соглашений, которые касаются особого положения какого-нибудь республики, края, должна быть выслушана точка зрения этой республики, края.

Республики, края могут с согласия федерального правительства заключать договоры с иностранными государствами настолько, насколько они владеют законодательной компетенцией.

В особых случаях можно определить общие компетенции Федерации и республики, края или установить законом любые делегированные права Федерации тому или иному его субъекту.

Статья 156.

Федерация вносит свой вклад в решение некоторых задач республик, краев, если они имеют общегосударственного значения и если такое сотрудничество необходимо для повышения образования и благосостояния населения республик, краев, для улучшения экономических и аграрных структур, для защиты местных природных ресурсов и прибрежных зон республики, края.

Статья 157.

Федерация и республики, края могут действовать совместно на основе конвенции в сферах культуры и научных исследований, значение которых выходит за региональные пределы.

Статья 158.

Для сохранения или восстановления общественного порядка и безопасности республика, край может попросить помощи сил полиции, личного состава или служб административных органов, а также

федеральных внутренних и пограничных войск, вооруженных сил.

Статья 159.

Если стихийное бедствие угрожает двум или большему количеству республик, краям, федеральное правительство может в той мере, необходимой для эффективного действия, обратиться к правительствам республик, краев, чтобы передать в их распоряжение свои полицейские формирования, послать соединения внутренних войск или вооруженных сил для поддержки полиции. Отмеченные мероприятия должны быть упразднены незамедлительно, если этого требует сенат, а также в тотчас, когда эта угроза будет исчерпана.

Статья 160.

Если республика, край не исполняют или препятствуют исполнению возложенных на них законом обязанностей, федеральное правительство с согласия сената может принять необходимые меры для принуждения республик, краев к исполнению своих обязанностей.

Федеральное правительство или его представители имеют право дать указания республике, краю и их учреждениям для проведения федеральных мер принуждения. Представители федерального правительства в республиках, краях осуществляют административный надзор, ответственны за защиту государственных интересов и законов.

Статья 161.

Федеральный Конституционный закон с учетом пожелания высших органов республиканских, краевых органов самоуправления может допустить объединение существующих республик, краев или создать новую административно-территориальную единицу.

С учетом пожелания высших органов республиканских, краевых органов самоуправления, на основе референдума и федерального закона можно позволить административно-территориальным

единицам по их желанию выйти из состава одной республики, края и войти в состав другой.

Статья 162.

Федеральным законом на основе инициативы административно-территориальных единиц после консультации с высшими органами республиканского, краевого самоуправления возможно создание новой административно-территориальной единицы или изменение их границ в пределах одной и той же республики, края.

Республика, край может с учетом пожеланий населения издать закон, который в пределах административно-территориальной единицы создаст новые административно-территориальные единицы или изменит их названия и границы.

Статья 163.

Парламент имеет право принять новую республику, край в состав Федерации, но не может в пределах юрисдикции уже существующей республики, края создать новую республику, край.

Статья 164.

В соответствии с законом парламентом может быть издан специальный закон, который используется в отношении одной республики, края, но он вступает в силу только с согласия избирателей данной республики, края.

Статья 165.

Все учреждения Федерации и республик, краев обязаны оказывать друг другу юридическую и служебную помощь.

Статья 166.

В течение 5 лет после вхождения в силу федеральной Конституции Федерация приведет свои законы в соответствие с требованиями и объемом законодательной власти республик, краев, которыми оснащены эти республики, края.

**АДМИНИСТРАТИВНО-ТЕРИТОРИАЛЬНОЕ
УСТРОЙСТВО ФЕДЕРАТИВНОЙ РЕСПУБЛИКИ
ГРУЗИИ**

АДЖАРА-ГУРИЙСКИЙ ОБЪЕДИНЕННЫЙ КРАЙ
(адм. ц. г. Батуми)

АДЖАРСКАЯ РЕСПУБЛИКА

(столица г. Батуми)

г. Батуми.

г. Ксда.

г. Кобулети.

г. Шуахеви.

г. Хелвачаури.

г. Хуло.

Ассоциации общин.

ОЗУРГЕТСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Озургети)

г. Озургети.

г. Ланчхути.

г. Чохатаури.

Ассоциации общин.

АБХАЗСКАЯ РЕСПУБЛИКА

(столица г. Сухуми)

Г. Гагра.

г. Гали.

г. Гудаута.

г. Гульрипши.

г. Очамчира.

г. Сухуми.

Ассоциации общин.

ИМЕРЕТИЙСКИЙ И РАЧА-ЛЕЧХУМСКИЙ ОБЪЕДИНЕННЫЙ КРАЙ

(адм. ц. г. Кутаиси)

ОНСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Оши)

г. Амбролаури.

г. Оши.

г. Цагери.

Ассоциации общин.

ЗЕСТАФОНСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Зестафони)

г. Зестафони.

г. Сачхере.

г. Ткибули.

г. Чиатура.

Ассоциации общин.

КУТАИССКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Кутаиси)

г. Терджола.

г. Кутаиси.

г. Цхалтубо.

Ассоциации общин.

САМТРЕДСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Самтредиа)

г. Багдаги.

г. Вани.

г. Самтредиа.

г. Харагаули.

г. Хони.

Ассоциации общин.

КАРТЛИЙСКИЙ КРАЙ

(адм. ц. г. Рустави)

АХАЛЦИХСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Ахалцихе)

г. Аджигени.

г. Ахалкалаки.

г. Аспиндза.

г. Ахалцихе.

г. Цалка.

Ассоциации общин.

ГОРИЙСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Гори)

г. Гори.

г. Карели.

г. Каспи.

г. Хашури.

Ассоциации общин.

МЦХЕТСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Мцхета)

г. Душети.

г. Казбегн.

г. Мцхета.

г. Тианети.

Ассоциации общин.

РУСТАВСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Рустави)

г. Болниси.

г. Гардабани.

г. Дманиси.

г. Тетрицкаро.

г. Марнсули.
г. Ниноцминда.
г. Рустави.
Ассоциации общин.

КАХЕТИНСКИЙ КРАЙ

(адм. ц. г. Телави)

ТЕЛАВСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Телави)

г. Ахмета.
г. Гурджаани.
г. Кварели.
г. Телави.
г. Сагареджо.
Ассоциации общин.

СИГНАХСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Сигнахи)

г. Делоплисцкаро.
г. Лагодехи.
г. Сигнахи.
Ассоциации общин.

САМЕГРЕЛО-СВАНЕТСКИЙ ОБЪЕДИНЕННЫЙ КРАЙ

(адм. ц. г. Зугдиди)

ЗУГДИДСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Зугдиди).

г. Зугдиди.
г. Мартвили.
г. Цаленджиха.
г. Чхороцку.
Ассоциации общин.

МЕСТИЙСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Местиа)

г. Лентехи.

г. Местиа.

Ассоциации общин.

ПОТИЙСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. г. Потн)

г. Абаша.

г. Снаки.

г. Потн.

г. Хоби.

Ассоциации общин.

ТБИЛИССКИЙ ФЕДЕРАЛЬНЫЙ КРАЙ

(адм. ц. г. Тбилиси)

ДИДУБИЙСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. Дилубе)

Глдани.

Дидубе.

Исани.

Надзаладсви.

Самгори.

Чугурети.

Ассоциации общин.

МТАЦМИНДСКАЯ ОБЛАСТЬ

(адм. ц. Мтацминда)

Ваке.

Крцаниси.

Мтацминда.

Сабуртало.

Ассоциации общин.

ЮГО-ОСЕТИНСКАЯ РЕСПУБЛИКА

(столица г. Цхинвали)

г. Ахалгори.

г. Джава.

г. Знаури.

г. Цхинвали.

Ассоциации общин.

დანართი

საქართველოს
კონსტიტუცია

მიღებულია
საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის 21 თებერვალს

თავი 1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შეინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 7.

ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტილ. იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თავი 2. მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

თავი 3. მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გაუქმებულია.

ორდენი გაუქმებულია.

საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.

სიკედილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თავის უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას მიასწრებს;
ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს.

გ) როცა მას, ვიზუალურ ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მოსვლაში მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთეს რაიმე გზითა და საშვალეებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

მუხლი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია: მისი ამოხმა და გადაღობვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს.

მოქალაქის დეენა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიჯნავეებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გააერცულოს მთავრობის წინასწარ ნება-დაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიღენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუხლი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადურთველად შეიკრიბნენ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 34.

თუ კრებამ დანაშაულის სახე მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მუხლი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი. თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მუხლი 36.

გონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 37.

პირადი და კოლექტიური პეტციის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 40.

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებასყოფლობას; ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა: აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

მუხლი 41.

პოლიტიკური დევნილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მუხლი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის. ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

მუხლი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსაღე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 და 38, ომის დროს კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება. მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

მუხლი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22, 25, 26 და 30 მუხლებში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიისთან ბრძოლა მოითხოვს.

მუხლი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარ-

ყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამოძღინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

თავი 4. პარლამენტი

მუხლი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის "საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქეის განურჩევლად ყოველ სრულწლოვანი მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს;

შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მუხლი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მიცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდევს, როგორც დეპუტატს, ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მოელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მუხლი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას: მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 54.

პარლამენტის უფლებაა:

- ა) კანონმდებლობა;
- ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;
- გ) ომის გამოცხადება;
- დ) დამტკიცება საზავო, საეაჭრო და ამგვარ ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;
- ე) ამნისტია;
- ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;
- ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;
- თ) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და
- ი) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მუხლი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა, ან მისი ნაწილი

ფარულად გამოაცადოს.

მუხლი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დაეის ამ საგანზე.

მუხლი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მუხლი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მუხლი 59.

პარლამენტის წევრთ უყლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია.

მუხლი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტს და თავის მოქმედების წესს.

მუხლი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნომბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მუხლი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეთხუთსი მოითხოვს.

მუხლი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

- ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და
- ბ) 5.000 ამომრჩეველს.

მუხლი 64.

თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეგულაციუ-
მით ხალხს წარუდგინოს.

რეგულაციუმი წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს

თავი 5. აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება კუროვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს.

მუხლი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

მუხლი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარძიმადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგი-

ლისა ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისაებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა რაც, ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მუხლი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს ყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

მუხლი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა. თანახმად კანონისა;

ბ) თვალ-ყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა. აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის. მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღოს ნებართვა.

ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის საგარეულო აღრიცხვა ბიუჯეტი;

ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

თ) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალება.

მუხლი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაპყრობას მის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, კალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მუხლი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს, თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მუხლი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისმგებებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

თავი 6. სასამართლო

მუხლი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა, და

ბ) განაგოს სასამართლოს ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მუხლი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულა. შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 81.

მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მუხლი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

მუხლი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ. გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი ღროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა – კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

თავი 7. სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმართელობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მუხლი 85.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავენ განთავისუფლებს, თუ არ კანონის ძალით.

მუხლი 86.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 87.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და ან რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მუხლი 88.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასაკალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 89.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

თავი 8. **სახელმწიფო კონტროლი**

მუხლი 91.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორითა ასრულება;
- ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;
- გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და

ანგარიში, და

დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მუხლი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მუხლი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

თავი 9. სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მუხლი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 97.

სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

თავი 10. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 98.

ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 99.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია, უწყება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 100.

ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 101.

ადგილობრივი თვითმმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მუხლი 102.

ადგილობრივ თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 103.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ.

მუხლი 104.

ადგილობრივი თვითმმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს.

მუხლი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

თავი II.
ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხა-
ზეთის სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე)
და ზაქათალას ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეში
ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებუ-
ლებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

თავი 12. სწავლა-განათლება და სკოლა

მუხლი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია: სახელმწიფოს მოვალეობაა ფარკელობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 110.

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცემელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართელობანი შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

თავი 13. სოციალ-პიონოზიური უფლებანი

მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 116.

წერილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის – შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება: მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნ-

ველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა საშემამელო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დაეალებული არ აქვს მემკვიდრეს. მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება. მიიღებს დახმარებას სახელმწიფოს ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთეს მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემო აღნიშნული მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 123.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს გარუწყვეტლივ 42 საათს. გაიონაკლისოს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობასა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოდ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებლთაგან.

მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მანვე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსაველეად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედების და ბავშვის დაცვისათვის მზრუნველობა.

თავი 14.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მუხლი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართეულობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასამძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართეულობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშე შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართეულობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალეები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მუხლი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადაღებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციების მიხედვით.

მუხლი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.

მუხლი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს, დაწერილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

თავი 15. სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 138.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნისა და აკმაყოფილებს.

მუხლი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უწყროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული, ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 140.

თვითმუშა მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელესა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 141.

თვითმუშა მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისმგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

თავი 16.
სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

თავი 17. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

- ა) პარლამენტის წევრთა ნახევარის არა ნაკლებსა და
- ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის დადასტურების შემდეგ.

მუხლი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

მუხლი 149.

ყოველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგივრობას გასწევს დამფუძნებელი კრება.

შ. პ. ს. „სტამბა“
ქ. თბილისი, ნაგებობის ქ. №7
შეკვ. № 84 ტირაჟი 300